# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 4 მარტი 1997 №24 (389) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქეცბაია ჩხუბში ნახეს, თამაშში — ჯერ ვერა

მას შემდეგ, რაც ორიოდ თვის წინ ხმა გავრცელდა, თემურ ქეცბაიას გადაბირებას ინგლისის პირველი დივიზიონის რომელიღაც ლიდერი გუნდი ცდილობსო, კვირა არ გავა, 5-6 გუნდს არ ჩამოვურეკო, მაგრამ ამაოდ — რაღა სულიკოს საფლავი და რაღა ქეცბაიათი დაინტერესებული კლუბი. მაგრამ გასულ კვირას, ბოლოს და ბოლოს, გამიმართლა — ნაცნობი ჟურნალისტისგან შევიტყვე, „შეფილდ იუნაიტედის" მწვრთნელი ჰოვარდ კენდალი ათენში იყო წასულიო. ვიგუმანე, საქმე ჩვენებურს ეხებოდა და კლუბის ოფისში დავრეკე. თავად კენდალი, სახელგანთქმული მწვრთნელი, 80-იანი წლების ბრწყინვალე გუნდის, თასების თასის 1985 წლის მფლობელ „ევერტონის" თავკაცი, ვერ მოვიხელთე, თუმცა ჩვენთვის საინტერესო თემაზე კლუბის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი მესაუბრა.

— დიახ, კენდალი ოთხშაბათს პირეოსში გახლდათ, სადაც „ოლიმპიაკოსი" თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაში აეკს მასპინძლობდა. ჩვენი გუნდის მწვრთნელის მიზანი ქართველი ფეხბურთელის თემურ ქეცბაიას საქმეში ნახვა იყო, მაგრამ კენდალი შეფილდში გაწბილებული ჩამოვიდა.

**— ესე იგი, არ მოეწონა ჩვენებურის თამაში?**

— არა, საქმე ასე როდია. კენდალმა თქვა, ასეთ მატჩში ვერცერთი ფეხბურთელის ოსტატობას ვერ შეამოწმებო. თურმე თამაში კი არა, ლამის ომი ყოფილა — ნამეტანი უხეში, კინკლაობით და ჩხუბით შეზავებული.

**— გამოსავალი რაღაა?**

— კენდალს ხელი არ ჩაუქნევია. მას თვალი აქვს დადგმული ქეცბაიაზე და კლუბის დირექტორატი გააფრთხილა, ორი კვირის მანძილზე კიდევ ერთხელ გავემგზავრები საბერძნეთს ქართველის სანახავადო. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ვიმედოვნებთ, რომ მარტის ბოლოსთვის, ჩვენში ტრანსფერების სეზონი რომ იხურება, თემურ ქეცბაია „შეფილდ იუნაიტედში" ითამაშებს.

**დავით მჭედლიშვილი ლონდონიდან**

## შეუთავოდ „ტრაბზონის" ფასი კაპიკია

ორიოდ ტურის წინ „ტრაბზონი" „გალათასარაის" ისე წამოეწია, საკმარისი იყო, სტამბოლელებს ერთი წაეფორხილებინათ, „ჩვენი" გუნდი ცხრილს სათავეში მოქცეოდა. მაგრამ მომდევნო ორ ტურში „ტრაბზონმა" ქარს გაატანა მონაგარი: ჯერ მაჩანჩალა „ანკარაგიუჯუს" ვერ მოუგო, მერე კი სულაც 1:3 წააგო „ბურსასფორთან".

— 1:1-ზე მწვრთნელმა შოთა დაასვენა — გვითხრა გუშინ არჩილმა — ჰოდა, თამაშიც ამის მერე წავაგეთ.

**— ტრავმის გამო შეცვალა?**

— არა, ტაქტიკური მოსაზრებების გამო. ყოველ შემთხვევაში, ასე ახსნა. მცველები გამოიყვანა, იმას კი აღარ მიაქცია ყურადღება, რომ შოთა წინ 2-3 კაცს იჭერდა. შოთას გამოცვლა იყო და „ბურსას" მცველებიც კი შეტევაში ჩაერთვნენ.

**— რა კაცია მწვრთნელი და რას გერჩით?**

— სახელად ილმაზი ჰქვია, ადრე „სარიერში" მუშაობდა მთავარ მწვრთნელად. ამ წაგების მერე ძალიან შეფუცხუნდა და ახლა ორი დღით ბაზაზე გამოგვკეტა, თურქეთის თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩისთვის მოვემზადოთო. პირველი შეხვედრა გაზიანთეპში ადგილობრივ გუნდთან 0:0 დავასრულეთ და ახლა შინ უეჭველი მოგება გვჭირდება.

**— თუ ფინალში გახვედით, იქ ვინაა სავარაუდო მეტოქე?**

— მეორე ნახევარფინალის პირველ მატჩში „ქოჯაელიმ" შინ 1:0 დაამარცხა „ბეშიქთაში" და ახლა სტამბოლში უნდა ჩავიდეს. „ბეშიქთაში" ის გუნდი არ არის, ამნაირი შანსი ხელიდან გაუშვას. ფუი, ეშმაკს და, თუ ჩვენც წარმატებით ვითამაშეთ, ფინალში ალბათ „ბეშიქთაშს" შევხვდებით. მანამდე, იქითა ოთხშაბათს შარშან არჩატარებული სუპერთასის მატჩში უნდა ვეთამაშოთ იმავე „ბეშიქთაშს".

**— ახლა ჩვენებურებზე გვითხარი...**

— ჯამარა ნახევარდაცვაში თამაშობს, ნემსო — უფრო ხშირად დაცვაში: ხან კაცზე, ხანაც ლიბეროდ.

**— უფროს ძმას ხომ არ შეხმიანებიხარ?**

— ეს წუთია ველაპარაკეთ, „სტანდარდის" კარში გატანილი სამი გოლიდან ორი რეზოს პასით გასულა.

**— შენი ჯანმრთელობის საქმე როგორაა?**

— კარგა ხანია წესრიგში ვარ, ნავსიც გავტეხე და გოლებიც გავიტანე. უკვე გითხარით, თასის ნახევარფინალისთვის ვემზადებით და როგორც მწვრთნელმა გვითხრა, ყველა თქვენგანის იმედი მაქვსო... ვნახოთ, ორ დღეში თასის მატჩია, მერე, სამი დღის შემდეგ — ჩემპიონატისა, კიდევ ოთხ დღეში — სუპერთასისა, შემდეგ ისევ ჩემპიონატის. ზედიზედ ორი თამაში გვიწევს შინ და დაკარგულის ანაზღაურებას შევეცდებით.

**— ლიდერსა და თქვენს შორის ქულებში სხვაობა უკვე საკმაოა. შეძლებთ კი „გალათასარაის" დაწევას?**

— ჩვენ ახალ პრეზიდენტს არაფრის გაგონება არ სურს — თასიც და ჩემპიონობაცო.

**— ჩვენს ნაკრებზე რას იტყვი?**

— ახალი მწვრთნელის დანიშვნას სიახლეები მოსდევს ხოლმე. ცხადია, ახლაც ასე იქნება.

...ამ დროს „ტრაბზონის" ფეხბურთელებს ილმაზმა უხმო და ჩვენი სატელეფონო ინტერვიუც აქ შეწყდა.

**მამუკა კვარაცხელია**

## ჩვენებურები ევროპაში:

იაშვილის „ლიუბეკმა" დიდი ანგარიშით დაამარცხა ერთ-ერთი ლიდერი.

„სიტი" კვლავ გიოს გარეშეა, თუმცა კვლავ იგებს.

რეზო არველაძემ თბილისის „დინამოს" ძველი ჯავრი იყარა — მისმა „მეხელენმა" 3:0 მოუგო „სტანდარდს".

ქეცბაიას აეკმა სტუმრად იმარჯვა...

### ვინ მიდის „უემბლიზე"?

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ**

მათ, ვისაც დაგეგმილი აქვს 30 აპრილს ლონდონში ინგლის — საქართველოს მატჩზე დასწრება, გთხოვთ 10 მარტამდე აცნობოთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს ელგუჯა ბერიშვილს, რათა „უემბლიზე" დროულად გაიგზავნოს აკრედიტაციის სათანადო მოთხოვნა.

ტელეფონი: 99-08-22

## პირდაპირ ცენტრიდან დაარტყით, ოღონდ პირველი ივნისიდან

# ფეხბურთის წესებში ცვლილებებია!

პენალტის დროს მეკარეს დარტყმამდე კარის ხაზზე გადაადგილების უფლება მიეცემა.

მეკარე ბურთის ხელში დაჭერიდან ექვს წამში ვალდებული იქნება იგი მოიცილოს.

მეკარეს ბურთის თამაშში შეტანაც (როცა იგი ხელთ უპყრია) მხოლოდ ოთხი ნაბიჯის გადადგმის უფლება ექნება.

მეკარეს აეკრძალება აუტიდან მიწოდებული ბურთის ხელში დაჭერა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაინიშნება თავისუფალი საჯარიმო დარტყმა.

თამაშის ცენტრიდან დაწყებისას, სხვა მოთამაშის შეუხებლად, პირდაპირ კარში გატანილი ბურთი გოლად ჩაითვლება. იგივე წესი იმოქმედებს კარიდან თავისუფალი დარტყმის დროს. ბურთი თამაშში შესულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც იგი საკუთარი გარშემოწერილობის ფოლ მანძილს გაივლის.

მსაჯის დასახმარებლად ვიდეოტექნიკის გამოყენების იდეა დამარცხდა. საამისო ექსპერიმენტს საფრანგეთ — შვედეთის ამხანაგურ მატჩშიც კი არ გამოიყენებენ, როგორც ეს წინასწარ იყო დაგეგმილი.

— ჩვენი თამაში ადამიანების ცხოვრებითა და შეცდომებით უნდა არსებობდეს. მის მეცნიერულ სახეობად ქცევა არას გვარგებს. ტელევიზია შესაძლოა კარგი პარტნიორი იყოს, მაგრამ თამაში არ უნდა გვიკონტროლოს — განაცხადა ფიფას გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა.

ჩამოთვლილი გადაწყვეტილებანი შაბათს ბელფასტში გამართულმა საერთაშორისო საფეხბურთო კოლეგიის სხდომამ მიიღო. სხდომაში მონაწილეობდნენ ბრიტანეთის ფეხბურთის ასოციაციათა ოთხი და ფიფას ამდენივე წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებათა გამო ფეხბურთის წესების წიგნი 1936 წლის შემდეგ პირველად გადაიწერება. წინა რედაქცია სერ სტენლი როუზის მიერ იყო დამტკიცებული.

## ან გადაგვირჩა, ან არა

29 მარტს ინგლის — მექსიკის ამხანაგურ შეხვედრას ალან შირერი უთუოდ გამოტოვებს, 30 აპრილს საქართველოსთანაც საეჭვო იქნება მისი თამაში. ასეთია ბოლო ცნობა „ნიუკასლ იუნაიტედისა" და ინგლისის ეროვნული გუნდის მთავარი ფორვარდის, მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელის შესახებ რომ გავრცელდა.

ადრეც გაცნობეთ, რომ გასულ კვირას შირერმა საზარდულის ოპერაცია გაიკეთა ამ თვეში მესამედ და ბრიტანული გაზეთების თანახმად, სეზონს დაემშვიდობა, თუმცა ახლა ალაპარაკდნენ, ბოლოსკენ მოედანს დაუბრუნდებაო.

— რაც საჭირო იყო, ყველაფერი გაკეთდა. საგანგებო პრობლემა არაფერია, ალანი, როგორც კი შეძლებს, საქმეს დაუბრუნდება. დაჩქარება არას გვარგებს, უსაფუძვლო სტატიების კითხვა კი მხოლოდდამხოლოდ მაღიზიანებს — განაცხადა „ნიუკასლის" მწვრთნელმა კენი დალგლიშმა.

## აი, ჩამოვა კომისარი და...

6 მარტს თბილისში საქართველოს და შვეიცარიის ნაკრებთა მატჩი უნდა გაიმართოს. უნდა გაიმართოსო, იმიტომ ვამბობთ, რომ ყველაფერი დამოკიდებული იქნება მატჩის კომისარზე, რომელიც დღეს ეწვევა თბილისს და იმ სავარაუდო სპორტულ ბაზებს შეამოწმებს, სადაც შესაძლოა მატჩი ჩატარდეს — სპორტის სასახლეს და არმიის სპორტული კლუბის დარბაზს. ჩვენებმა მატჩამდე დარჩენილ დროში უნდა მოახერხონ ამ მოედნების მოწესრიგება, რადგან ფინელებთან შეხვედრის შემდეგ, როცა მატჩის კომისარმა საკმაოდ ცუდი ინფორმაცია მიაწოდა ევროპის ხელბურთის ფედერაციას ჩვენი მოედნის თაობაზე, შვეიცარიასთან მატჩის კომისარი მეტად ჩაკირკიტებით მიუდგება ამ საქმეს. მოკლედ, სად გაიმართება თამაში, ამას საბოლოოდ მატჩის კომისარი გადაწყვეტს და შეხვედრის ჩატარების დროც ამის მიხედვით დადგინდება.

ამასობაში კი ჩვენი ნაკრები გია ნარიმანიძის ხელმძღვანელობით ემზადება ამ პრინციპული შეხვედრისთვის. შვეიცარიელები ჯერჯერობით ჩვენს ჯგუფში ლიდერები არიან, მათი საერთაშორისო ავტორიტეტიც საკმაოდ მაღალია და მხოლოდ ბოლო წლების წარუმატებლობათა გამო იწყებენ ევროპის ჩემპიონატს ასე შორიდან, შესარჩევის შესარჩევი ტურნირიდან. თუმცა, მათ პირველ ორ მატჩში ისე ითამაშეს, როგორც ჯგუფის ფავორიტებს ეკადრება — ძალზე ადვილად გაუსწორდნენ ბელგიელებს. ქართველებისთვის კი ფინელებთან თბილისში შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ეს შეხვედრა ერთგვარი გამოცდა იქნება თამაშის კლასის განსასაზღვრად.

გუნდი მატჩისთვის იმავე შემადგენლობით ემზადება, როგორითაც ბოლო შეხვედრა ჩაატარა: როლანდ ერაძე, ირაკლი კენჭაძე, ვახტანგ მეიფარიანი, ანდრო ანდრიაშვილი, კობა თორდია, ბექა ორჯონიკიძე, გია გვაზავა, სერგო დათუკიშვილი და ლეგიონერები — ალეკო ბოყოჩაძე, ტიტე კალანდაძე, ირაკლი კეკელიძე და ლევან გელაშვილი, რომლებიც უკვე დღეს იქნებიან თბილისში.

შვეიცარიის ნაკრები თბილისს ხვალ ეწვევა. 6 მარტამდე კი ჩვენს შესარჩევ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვეიცარია** | 2 | 2 | 0 | 0 | 53:38 | 4 |
| **საქართველო** | 2 | 1 | 0 | 1 | 47:45 | 2 |
| **ფინეთი** | 2 | 1 | 0 | 1 | 45:47 | 2 |
| **ბელგია** | 2 | 0 | 0 | 2 | 38:53 | 0 |

**კოტე მგალობლიშვილი**



იაშკა ახალ გუნდში წარმატებით თამაშობს და სათანადოდ ვარჯიშობს კიდეც, რაც გაზეთ „ბილდის" ფოტოზეა აღბეჭდილი

# იაშკას ბანკეტზე აგვიანდება

ალექსანდრე იაშვილისნაირი ფეხბურთელი ყველა მწვრთნელმა ინატროს: ჩუმი, უენო, ფუტკარივით მუშა და თავდადებული. ასეთია ვარჯიშშიც და თამაშშიც, ასეთი იყო თბილისში და ასეთივეა გერმანიაშიც. „ლიუბეკის" 26-ე ნომერი უკვე გახდა გულშემატკივართა კერპი. მასთან კარგა ხანს ვაპირებდი სატელეფონო საუბარს, მაგრამ „ლიუბეკი" გამარჯვებას ზეიმობდა, გამარჯვებას, რომლის გემოც შარშან, 8 სექტემბერს ჩვენი ძველი ნაცნობი იენის „კარლ ცაისი" 1:0 რომ დაამარცხა შინ მეხუთე ტურში, მას მერე არ ეგემნა. თოთხმეტი ტური იყო, გუნდს არ გაემარჯვნა და აგერ, გუშინწინ „მეპენთან" მოიგო, თანაც დიდი ანგარიშით — 4:1. ეს თავისებური რევანშიც იყო, რადგან პირველი წრის მეორე მატჩში ფრანკფურტელებთან 1:1 ნათამაშევი მატჩის შემდეგ „მეპენმა" 2:0 სძლია „ლიუბეკს" და გუნდის წარუმატებლობას დაუდო სათავე. ჩვენი ინტერვიუს ხიმცირეც „ლიუბეკის" ბანკეტმა გამოიწვია.

— ძალიან დაძაბული მატჩი იყო, წინა ტურში წაგების მერე უნდა გარკვეულიყო, რა გზით ივლიდა გუნდი. გოლი ვერ შევაგდე, მაგრამ ორის შექმნაში მივიღე უშუალო მონაწილეობა: მეორე გოლი ჩემი პასით გავიდა, მესამე კი ჩემი წაქცევისთვის დანიშნულ პენალტს მოჰყვა. მატჩის მიწურულს, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მწვრთნელმა დამასვენა და მცველი შემოუშვა ჩემს მაგივრად.

**— პირველ მატჩში დიდი ანგარიშით დამარცხება რისი ბრალი იყო?**

— საოცრად უიღბლოდ დავიწყეთ თამაში. მატჩის მესამე წუთზე ჩვენი დაცვის ბურჯი რიმას მაეიკისი, ჩვენი გოგირაიშვილისა არ იყოს, ორთაბრძოლაში უხერხულად წაიქცა, თავისსავე იდაყვს დაეცა, გონი დაჰკარგა და საავადმყოფოში გააქანეს. მერეღა გავიგეთ, რომ ყბენთა გახეთქვია და ამოუჭრიათ, თან ისე სერიოზულად დაუზიანებია მარცხენა თირკმელი, თამაშს ვინღა დაგიდევდა, ლამის სიცოცხლეს გამოსთხოვებოდა. მაეიკისი გამოცდილი მცველია, ყველა პატივს სცემს და აფასებს, მინდორზე ხომ შეუცვლელია, ჩვენს დაცვას ადუღაბებს. ჰოდა, მისი დაშავების შემდეგ დაცვა, ფაქტობრივად, დაიშალა. თანაც მეხუთე წუთზევე პენალტი დაგვინიშნეს, რამდენიმე წუთში თამაშგარედანაც შეგვიგდეს და სანამ გონს მოვიდოდით, უკვე 0:2 იყო. ამ ანგარიშის ამოქაჩვა კი ძალზე ძნელია, მითუმეტეს, ფრანკფურტში, როცა გაძეძგილი სტადიონი გუგუნებს და მასპინძლებს ძალას მატებს, შენ კი ფსიქოლოგიურად ითრგუნები. „აინტრახტიც", ჩვენი არ იყოს, გავარდნის საფრთხის წინაშეა და პირად კონკურენტთან მოგებას ექვსი ქულის ფასი ჰქონდა.

**— შენ თუ გქონდა თავის გამოჩენის შანსი?**

— ერთ მომენტში გავუსხლტი ჩემს დარაჯს და ძლიერად დავარტყი, მაგრამ მეკარემ მოიგერია. ძირითადად პასების გაკეთებას ვცდილობდი, მაგრამ ჩემი მეურვე კოჭებშიც მირტყამდა და ნეკნებიც სულ დამილურჯა: ყველგან მისი იდაყვების კვალი მატყვია. მაისურიც ლამის დამახია. ამ თამაშში მივხვდი: რა არის ბუნდესლიგა, თუნდაც მეორე იყოს. თუ მეტოქე პერსონალურად გეთამაშება, არ ამოგასუნთქებს, აგეწებება და სულს ამოგართმევს.

**— პასებს მივეძალეო, თქვი, ადრე კი მითხარი, თამაშის გაძღოლა უნგრელ ახალწვეულს, კაროი სანიოს ევალებაო...**

— საქმეც ისაა, რომ კაროი არ თამაშობს, თორემ რა გვიჭირდა. უმისოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რუსულ" ფეხბურთს ვთამაშობთ — მცველები და მეკარე იგერიებენ, წინ კი ბურთის მოსაპოვებლად ომია. მოკლედ, ბურთის ამოტანას იშვიათად ვახერხებდით, ამიტომაც მეტოქემ „დაგვახრჩო" და ვერაფერი მოვახერხეთ...

**— შემდეგი თამაში როდის გაქვთ?**

— 8 მარტს სტუმრად „უნტერჰახინგს" ვხვდებით. ამ მოგებამ საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა და ვინ იცის... თანაც ალბათ სანიოც შემოგვემატება შემდეგი ტურიდან.

**— 31 იანვარს ბინა უნდა მოეცათ...**

— ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. ცალკე სახლი მომცეს თავის ეზოთი, მანქანაც მიბოძეს — „ოპელი", ასე რომ, საყოფაცხოვრებო პირობებს არ ვუჩივი, ისევე, როგორც პროფესიულს. თანაც ძალიან ერთგული გულშემატკივრები გვყავს — ყველგან დაგვყვებიან. შინ ნათამაშევი მატჩების მიხედვით მესამე ადგილზე ვართ მეორე ბუნდესლიგაში გულშემატკივართა დასწრებით. მოკლედ, მალე გამოჩნდება, რისი შნო აქვს „ლიუბეკს", მე კი შევეცდები, მომდევნო მატჩიდანვე გავხსნა საკუთარი გოლების ანგარიში.

...იაშკასთან საუბარს რა სჯობდა, მაგრამ აქეთ ბანკეტი, იქით საქმეები, ჩემს გარდა დასარეკი და სალაპარაკო სხვასთანაც ჰქონდა. მოკლედ, დროებით შევწყვიტე იაშკასთან საუბარი, იმ იმედით, რომ მალე უფრო ვრცლად ვისაუბრებთ „ლიუბეკის" მიერ მოგებულ თამაშებზე და იაშკას მიერ გატანილ გოლებზე...

**მამუკა ძვარაცხელია**

## ხუთი ქართველი ერთად იფრენს

სამარის „კრილია სოვეტოვის" მთავარმა მწვრთნელმა ავერიანოვმა მის გუნდში მოთამაშე სამ ქართველს — მინაშვილს, ფოფხაძეს და წიკლაურს კიდევ ორი დაუმატა — ყოფილი დინამოელი გელა ინაიშვილი და „გათურქებული" კახა გოგოლაძე. ესთიაც ესხუბის და თურქმენეთის თახებში შემდეგ რუსეთის ბევრი გუნდი დაინტერესდა. საბოლოოდ გოგოლაძემ „კრილია სოვეტოვი" ირჩია. როგორც შევიტყვეთ, ინაიშვილი რუსებმა ორწლიანი კონტრაქტი უკვე გაფორმდება და მალე სამარას გაემგზავრება.

პარასკევს საღამოს ერთმა მეგობარმა შემომჩივლა — ნაკიანი წელი რომ იდგეს, ხვალ დაბადების დღეს გადავიხდიდით. არ მინანია, შაბათს 29 თებერვლის ნაცვლად პირველი მარტი რომ თენდებოდა. ასე რომ არა, უნდა ამერჩია ფეხბურთის მატჩსა და ლხინს შორის. კი ვიცი, რასაც ვარჩევდი, ...

არც ნაკიანი წელი იდგა, არც „ოდიშსა" და „დინამოს" შეხვედრა დაენიშნათ შაბათის დღეს ამ შეხვედრის ბედი ჭირვეულ მარტს მიანდეს.

მარტმაც თავისი ქნა — ღამითვე გაწვიმდა, აღარც გადაუღია და წინასწარ ... მატჩის გამართვა დილიდანვე საეჭვო შეიქნა.

ეჭვი გამართლდა, უამინდობის გამო შეხვედრა არ შედგა. შეიძლება იქვას — გადაიდო. როდისთვის? ძნელი სათქმელია. ახლა იმის თქმაც უაზრობაა, თამაში წინა დღეს რომ დაენიშნათ, მცხუნვარე მზეში ჩაივლიდათ, მაგრამ ფაქტია: 28 თებერვალს ზუგდიდში საკმაოდ თბილოდა.

# ჟუჟუნა წვიმა მოვიდა...

### დათარსული

„ოდიში" — „დინამოს" მატჩი პირველად არ გადადებულა. ამჯერად მარტის ჭირვეულობანი რომ დაიწუნეს, ფედერაციის სპორტნაგებობათა განყოფილების უფროსი მერაბ იაშვილი დავით ყიფიანს შეეხუმრა — სათამაშოდ საუკეთესო ამინდი ოქტომბერშიაო. სხვათა შორის, ეს შეხვედრა სწორედ ოქტომბერში უნდა გამართულიყო, მაგრამ იმ დათარსულ 13 ოქტომბერს იმიტომ ვერ ითამაშეს, რომ ყიფიანმა საზოავიშტოდ 2-დან 15 ოქტომბრამდე ამზადა „დინამო". მერე იყო და, დეკემბრის დასაწყისში უნდა გამართულიყო ეს ნანატრი მატჩი, მაგრამ, ახლა „დინამო" ინგლისს მიდიოდა, თანაც თასის მერვედფინალშიც უნდა ეთამაშა. თბილისელებმა „ოდიშს" კალენდრის შეცვლაც სთხოვეს — მოდით, ჯერ თბილისში ვითამაშოთ, გაზაფხულზეღა ზუგდიდშიო, მაგრამ ამაზე ვერ დაიყოლიეს. ასე გადაიდო შეხვედრა მეორედ. მესამედ კი ეს შაბათს მოხდა. მიზეზად გუნდებმა ეს მოიღეს — მოედანი დატბორილიაო. ვერც ვერავინ შეედავა — ასე იყო.

შეხვედრის გადადებამ გულშემატკივრები გაანაწყენა. როგორც შევნიშნე, ეს წყენა გუნდებს არ გადასდებიათ. ისიც ითქვა, თამაშის ჩაშლა ორივე გუნდს აწყობდაო. ვიდრე ამ ვერსიის მტკიცებას ან გაბათილებას შევუდგებოდეთ, ვიკითხოთ — რა აკავშირებდათ აქამდე „დინამოსა" და „ოდიშს"?

### მტრობა

იქიდან დავიწყოთ, რომ ზუგდიდი ერთადერთი ქალაქია, სადაც „დინამოს" ეროვნული ჩემპიონატის არცერთი მატჩი არ მოუგია. მოუგია ერთად-ერთხელ, ოღონდ თასზე და ისიც სავჭვო ვითარებაში. ბუნებრივია, შაბათის მატჩს ისიც უნდა გაერკვია, გატეხავდა თუ არა ნავსს „დინამო". ბედის სასწორზე შეგდება სისულელე გახლდათ, ეს არც „ოდიშმა" გააკეთა. ისიც გავიხსენოთ, როდის ითამაშა ჩემპიონმა ბოლოს ზუგდიდში. მას შემდეგ ორთვენაკლული ორი წელი გავიდა. ბარემ ისიც ვთქვათ, რის შემდეგ გავიდა ორი წელი და ამდენ ხანს რატომ არ სწვევიან თბილისელები ოდიშს? მაშინ, 1995 წლის 16 მაისს „ოდიში" — „დინამო" ფრედ დასრულდა. ანგარიში მასპინძლებმა თამაშის ბოლოსღა გაათანაბრეს და არბიტრმა მაჭარაძემ „ოდიშის" კაპიტანი თუთბერიძე რომ გააფრთხილა, ზედმეტი დრო ნუ გაგყავთო, მის გვერდით მდგომმა და მანამდე გაფრთხილებულმა ძალამიძემ თავში ხელი წაიშინა — რისთვის აფრთხილებსო. ვიდეოჩანაწერში ისე ჩანდა, თითქოს ძალამიძე გააფრთხილესო. გამოვიდა, რომ მაჭარაძემ ორჯერ გააფრთხილა ძალამიძე და საერთოდაც შეხვედრის მსაჯობას თავი ვერ გაართვა. მსაჯმა დისკვალიფიკაცია „აიკიდა", ზუგდიდი კი „დინამოს" საჩივარის განხილვას გადაურჩა, რადგან ჩემპიონობის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა „სამტრედიამ" გადამწყვეტი ბრძოლა ვერ მოიგო რუსთავში. იმავე წლის 30 სექტემბერს კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა. „კოლხეთთან" თამაშამდე ერთი კვირით ადრე „ოდიშს" ერთი თამაშით მისცეს დისკვალიფიკაცია. თამაშის გამართვა კი იმ სტადიონზე აიძულეს, სადაც მხოლოდ მასპინძლებს უკრძალავდნენ ტრიბუნების უვარგისობის გამო თამაშს. სამტრედიაში „ოდიშს" „დინამოსთვის" უნდა ემასპინძლა. რა გამოვიდა? — „დინამომ" სამტრედიელთა თვალწინ გაანადგურა ის გუნდი, რომელიც ამათ წინა სეზონში ირიბად დაეხმარა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და წყალმა მინდორიც დატბორა. უდავოა, შაბათს ორივე გუნდს თავისი ხიბლიერის დამტკიცების სურვილი კლავდა, მაგრამ მაინც მოერიდნენ ერთმანეთთან ისეთ დროს შებმას, როცა ერთს მაინც არა მხოლოდ საკუთარი ძალა და გამჭრიახობა შეერყეოდა.

შაბათსვე ყიფიანმა ისიც გაიხსენა — შარშანწინ რომ 0:1 წავაგეთ ზესტაფონში, მაშინაც ასეთი წყალი იდგაო და ამით ეს შიში დაადასტურა, თუმცა, მთლად ეჭვმიუტანელი არც ხურცილავა დატოვა. და მაინც, ჯერ ეს ვიკითხოთ, რამ შეაშინა ყიფიანი?

„ოდიში" — „დინამოს" მატჩისთვის ზუგდიდში გაზეთ „თარჩიას" მორიგი ნომერი გამოვიდა. სპორტული გაზეთის პირველ გვერდზე გამოტანილი გახლდათ სათაური, რომელიც თვალს იმთავითვე იტაცებდა — „ყიფიანი პირველ გამოცდას ხურცილავას ჩააბარებს". დიახ, ნაკრების ახალდანიშნული მთავარი მწვრთნელი თავის პირველ ოფიციალურ მატჩში საკლუბო დონეზე ხურცილავას და მის გუნდს უნდა შებმოდა. თუ ვინმე ჩვენში დინამოლოგად ითვლება, ანუ „დინამოსთვის" ქულათა მაქსიმალური რაოდენობა დაუცინცლავს, მათ შორის ხურცილავაცაა. „დინამოს" უჭირს ხურცილავას გუნდთან თამაში, რადგან „ოდიში", ისევე, როგორც „სამტრედია", ძალისმიერ, ხისტ, ნაკლებად კომბინაციურ თამაშს ეტანება. ასეთი თამაშისთვის კი პირველ მარტს ზედგამოჭრილი ამინდი იყო. სველი მინდორი თავგანწირული ვარდნებისთვის და თამაშის „ჩაშლისთვის" ნამდვილი მისწრებაა. ისიც გვახსოვს, როგორც წააგო სამტრედიაში და ზესტაფონში ყიფიანმა უპრინციპულესი მატჩები მინიმალური ანგარიშით და იქნებ ამიტომაც აღარ გარისკა. თანაც „ოდიში", რომელიც თოლუჭყაპში ემზადებოდა, ასეთ მინდორზე თამაშს უფრო იყო ნაჩვევი.

რაც შეეხება „დინამოს", რომელიც ესპანეთსა და თურქმენეთის თასებზე წარუმატებლად გამოვიდა, მისი მორიგი მარცხი მთავარი მწვრთნელისთვის ცუდი დასაწყისი იქნებოდა.

თუ ასეა, „ოდიშს" თამაში უნდა დაეჟინა. მოდით, ესაც ვნახოთ...

### რამ შეაშინა ხურცილავა?

თამაშის გადადება რომ გადაწყდა, „ოდიშმა" თამაში იმიტომ არ მოინდომა, გუჩუა ჰყავდათ ავადო. ეს ცნობა გუნდის ექიმმა სულხან გაბისონიამაც დაადასტურა, თუმცა აღნიშნა — გუჩუას მხოლოდ სიცხე ჰქონდა, რაც ასეთი ფინანი ფეხბურთელისთვის არაფერს წარმოადგენსო. ზუგდიდელთა პასიურობის თაობაზე სხვა ვერსიაც გაჩნდა. ითქვა, „ოდიშის" ბევრ წამყვან მოთამაშეს თითო გაფრთხილება უკვე აქვს და ასეთ პრინციპულ თამაშში ვიღაცას ხომ უეჭველად გააფრთხილებდნენო. ეს კი იმას გულისხმობდა, რომ მეორე წრეს „ბათუმთან" ან თასის მეოთხედფინალს „მარგვეთთან" დანაკლისით ითამაშებდნენ.

ისიცაა, „ოდიშმა" მზადება გვიან დაიწყო და შესაძლოა თამაშისთვის არც იყო მზად. ერთი რამ ფაქტია, ხურცილავასაც ჰქონდა რაღაცის შიში, რაკი თამაშის ჩატარება არ მოითხოვა. რა იქნებოდა, ხურცილავას 1 მარტის შეხვედრის ჩატარება რომ დაეჟინა? მოდით, ვნახოთ, რას იტყვის ამაზე

### მსაჯი

მატჩის არბიტრი თამაზ ლაცაბიძე მთელი საათის განმავლობაში ეძებდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ და ნოდარ ახალკაცის რედაქციით გამოცემულ თამაშის წესებში იმ მუხლს, რომელიც მატჩის გადატანას გაამართლებდა. ვერც მან იპოვა ასეთი საბუთი და ვერც თქვენმა მონა-მორჩილმა მოიძია მთელი საღამოს განმავლობაში ის პუნქტი, რომელიც პირდაპირ უპასუხებდა დასმულ კითხვას — დასაშვები იყო თუ არა მატჩის გადადება? მხოლოდ ზოგიერთი თავი თუ მიუდგებოდა კონკრეტულ შემთხვევას.

ზემოხსენებულ ბროშურაში წერია: „მსაჯი ვალდებულია დროებით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს მატჩი თუ სავალდებულოდ ჩათვლის (უამინდობა, მაყურებელთა ჩარევა და სხვა მიზეზები)." აქედან გამომდინარე, თამაშის დაწყება სრულიად მიზანშეუწონელია.

არბიტრმა ლაცაბიძემ გაიხსენა, რომ მოსკოვში მსაჯთა კურსებზე ისიც უსწავლია, რომ თუ მინდვრის ორი მესამედი წყლითაა დაფარული, ანუ სათამაშოდ გამოუსადეგარია, მატჩი არ ჩატარდება.

მღელვარება მატჩის გადადების გამო ყველაზე მეტად სწორედ ლაცაბიძეს ეტყობოდა: წუხელ მატარებლით ვიმგზავრე, ვინმესთვის საბაბი რომ არ მიმეცა — მსაჯი „დინამომ" ჩამოიყვანა და მასზე გავლენა მოახდინაო. ლაცაბიძემ ისიც თქვა, რომ თუ „ოდიში" თამაშს დააპირებდა, იგი იძულებული იქნებოდა შეხვედრა ჩაეტარებინა.

ახლა ისიც ვთქვათ, რომ შეხვედრის გადადება მარტო ლაცაბიძეს არ გადაუწყვეტია. მატჩის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა შეადგინეს

### აქტი

ზუგდიდი. 1997 წელი, 1 მარტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილების უფროსი, „ოდიში" — „დინამოს" მატჩის დელეგატი ბადრი ქარქაშაძე; ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის დირექტორი ნუგზარ ჟვანია; მატჩის არბიტრი თამაზ ლაცაბიძე; გვერდითი მსაჯები გურამ ასკარ-ოღლი, თამაზ ჩაგელიშვილი; საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ ნაგებობათა განყოფილების უფროსი მერაბ იაშვილი; ზუგდიდის „ოდიშის" მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა და თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი;

ვადგენთ აქტს შემდეგზე: ჩავატარეთ ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის შემოწმება-დათვალიერება, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ უამინდობის გამო სათამაშო მინდორი მთლიანად დაფარული იყო წყლით, ამის გამო აღნიშნული მატჩის ჩატარება შეუძლებელია, რაზედაც ხელს ვაწერთ...

### ბუნება მბრძანებელია

ახლა ვთქვათ: ნამდვილად ისეთ დღეში იყო მინდორი, რომ მასზე თამაში შეუძლებელი გახლდათ? ერთს ვიტყვი. მოედანზე წყალი მართლაც გვარიანად იდგა, ოღონდ ეს შორიდან არ ჩანდა და ამიტომ იყო, ვიდეოოპერატორის მინდორზე გასვლამ მაყურებელთა რისხვა რომ გამოიწვია. სინამდვილეში ატალახებულ გაზონში ფეხი ეფლობოდა და ხუთ წუთში თითო ფეხი ორი-სამი კილოგრამით მაინც დაუმძიმდებოდათ ფეხბურთელებს. არც დამძიმებული ბურთი ივარგებდა სათამაშოდ, რადგან მინდორზე ვერ იხტუნებდა.

მე თუ მკითხავთ, მიღებული გადაწყვეტილება უსაფუძვლო სულაც არ იყო, მაგრამ საქმე ისაა, ვის წისქვილზე უფრო ასხამდა წყალს იგი. ესეცაა, თუ გუნდებს დიდად არ სწყენიათ მატჩის გადადება, დაიჩაგრა შეხვედრის სანახავად მოსული ხალხი. ერთიცაა, ასეთ მინდორზე კი არა, წვივამდე თოვლში გამართულა კალენდარული მატჩები და „ოდიში" — „დინამოს" უკვე მერამდენედ გადადება ალბათ არც ღირდა.

### სანამ წვიმა გადაიღებდეს

ზუგდიდს დიდხანს არ შევრჩენილვარ, მსურდა, ეს რეპორტაჟი ცხელ გულზევე დამეწერა. ვგრძნობდი, ზუგდიდში დარჩენა რასაც მოასწავებდა და რაკი ხურცილავა-ყიფიანის სუფრაზე დუელი აშკარად ნაკლებად მაინტერესებდა, ვიდრე მათ მიერ დამოძღვრილი გუნდების ორთაბრძოლა მინდორზე, შინისკენ გავეშურე. „დინამო" საღამოს ექვს საათამდე მოიცდიდა, ესე იგი, იმ დრომდე, როცა სენაკიდან თბილისისკენ გაფრენა იყო დაგეგმილი. ზუგდიდელები კი, ვფიქრობ, იმ პურ-მარილს არ გააციებდნენ, „დინამოსთან" მოგების აღსანიშნავად წინასწარვე რომ ჰქონდათ გამზადებული.

**ვახტანგ ბზიკაძე**
**ზუგდიდიდან**

# კახა ცხადაძე: ჩივაძე ლმობიერი მწვრთნელი იყო

დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს სპორტის სასახლეში კახა ცხადაძე ვნახე. სევდიანი ხმა ჰქონდა, სასოწარკვეთილიც კი მეჩვენა — „მანჩესტერ სიტისთან“ ხელმოწერილი კონტრაქტისთვის ინგლისის შრომის სამინისტროს ვერდიქტი დაედო და გაეუქმებინა. უიღბლო სეზონი უიღბლოდვე დასრულდა. ადვილი გასაგები იყო საქართველოს ნაკრების კაპიტნის მაშინდელი მდგომარეობა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა — ცხადაძე გაზაევის „ალანიამ“ შეიძინა, რომელიც რუსულ სუპერგუნდად ჩაუფიქრებია ვალერი გეორგიევიჩს. საკონტროლო შეხვედრებში მწვრთნელი აღფრთოვანებას ვერ მალავდა ახალწვეულის თამაშით. თავად ცხადაძისთვის რუსეთში დაბრუნება კარიერაში ახალი ეტაპის დაწყებას და უიღბლობის დასასრულს ნიშნავს.

— იმ დღეების გახსენებაც კი მზარავს. წარმოიდგინე, „აინტრახტიდან“ გამაცილეს, მაყურებელმა ტაში დამიკრა, მადლობა მითხრა ფრანკფურტში თამაშისთვის, არც ყვავილები მომკლებია. ერთი სიტყვით, ნამდვილი გაცილება მომიწყვეს. და ამ დროს ირკვევა, რომ ისევ „აინტრახტში“ უნდა დავრჩე. როგორი ამბავია? კაცმა რომ თქვას, დიდი ტრაგედია არც იქნებოდა, მაგრამ დარჩენა აღარ მიღირდა. არც სხვა გუნდებისგან მქონდა კონკრეტული მიწვევები. მხოლოდ შემდეგ შემეხმიანა გაზაევი, ჩემი საფასურიც გადაუხადა გერმანელებს და ამის მერე იყო, შვებით რომ ამოვისუნთქე. ახლა ვთვლი, რომ „ალანია“ ჩემს კარიერაში ისეთივე მნიშვნელოვანი ეტაპია, როგორც 1992 წლის მოსკოვის „სპარტაკში“ გადასვლა იყო. მაშინ იმედი მქონდა, ერთ წელიწადში ნორმალურ ევროპულ გუნდში გადავალ-მეთქი და ასეც მოხდა. ახლაც ასე ვფიქრობ — მეორე ბუნდესლიგის გუნდს უეჭველად სჯობს „ალანია“. მართალია, რუსეთის ლიგა ჯერ არ ითვლება ევროპაში მოწინავედ, მაგრამ „ალანია“ წელს საკმაოდ გაძლიერდა და მაღალ მიზნებსაც ისახავს არა მარტო შიდა ჩემპიონატში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც. ამას კი დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. არც სახლი მექნება შორს, პირობებიც არ არის ურიგო. გერმანიის და ინგლისის მეორე დივიზიონის გუნდებს, ბუნებრივია, გაცილებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სელექციონერები, ვიდრე რუსეთის მოწინავე „ალანიას“. თანაც, ჩემი აზრით, ვლადიკავკაზელებმა ისეთი გუნდი შეკრიბეს, უმტკივნეულოდ რომ მოხვდება ბუნდესლიგის ექვსეულში. ისიც ბევრს ნიშნავს, შენიანები რომ გვერდით გყავს.

**— ბოლო ორი წელი „აინტრახტი“ მაჩანჩალათა შორის იყო. ასეთ გუნდში მოთამაშე ფეხბურთელს თავისთავად უმუშავდება დამარცხებულის ფსიქოლოგია. ნაკრების წევრისთვის კი ეს სასურველი არ უნდა იყოს...**

— გეთანხმები, ასეა. როდესაც ათი შეხვედრიდან შვიდს აგებ, უკვე შიში გიჩნდება. მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორმე არ წააგო. ფრესაც მიღწევად თვლი და ასე თუ დიდხანს გაგრძელდა, დამარცხებულის ფსიქოლოგიაც იჩენს თავს. მე კი თავიდანვე სხვადასხვა ქვეყნის წამყვან გუნდებში ვთამაშობდი, აქ — „დინამოში“, რუსეთში — „სპარტაკში“, მოსკოვის „დინამოში“. თუნდაც „აინტრახტი“ — ჩემი ჩასვლის პირველ წლებში მოწინავე იყო ბუნდესლიგაში. ეს კი რწმენას გმატებდა და მუდამ გამარჯვებაზე ვფიქრობდი. ასე რომ, „ალანიაში“ გადასვლა ჩემთვის ამ მხრივაც მნიშვნელოვანია.

არ შემიძლია არ ვთქვა ერთი რამ. გერმანიაში მხოლოდ გუნდის თანამშრომელი ვიყავი, საქმეს მოვალეობის გამო ვასრულებდი. სულ სხვაა ნაკრებში თამაში. აქ მთელ გულს და სულს ვდებდი და ასე იქნება ყოველთვის. მითუმეტეს ახლა, როცა ტრავმებისგან გაწვალებული ბოლო სამი წლის მანძილზე პირველად მოვემზადე ნორმალურ პირობებში. ფეხბურთელისთვის კი მოსამზადებელ ეტაპს დიდი მნიშვნელობა აქვს. უამისოდ ვერაფერს მიაღწევ — შეიძლება რამდენჯერმე ბრწყინვალედ ითამაშო, მაგრამ ერთხელ მაინც აუცილებლად იჩენს თავს მოუმზადებლობა. ვარჯიში რა არის, ახლა ისიც არ გამიცდენია და ღმერთმა ქნას, კვლავაც ასე გაგრძელდეს. დიდი სურვილი მაქვს, 1997 წლიდან ჩემი ალმავლობა დაიწყოს. მთავარი მიზანი კი ნაკრებში ღირსეული თამაშია.

–კიდევ გავიმეორებ, „აინტრახტში“ ბოლო თვეები წვალებად მექცა. ვარჯიშებს მექანიკურად ვასრულებდი. ფეხბურთი ჩემთვის მხოლოდ სამუშაო იყო. დამთავრდებოდა ვარჯიში და ბაზაზე ალარავინ ჭაჭანებდა. „ალანიაში“ კი სხვაგვარად იყო — მე და მურთაზი ვრჩებოდით და სტანდარტულ მდგომარეობებს ვამუშავებდით. გერმანიაში ეს წარმოუდგენელია. იქ ვერავის სთხოვ, ჩემი ხათრით დარჩი და ცოტა კიდევ წაიმუშავეო. არადა, ასეთ ვარჯიშებს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველა მოთამაშეს აქვს ძლიერი მხარე, რაც ვარჯიშის შემდეგ უნდა დახვეწოს. ამას ვაკეთებთ კიდეც მე და შელია.

**— „ალანიაში“, ფაქტობრივად, შინაურ გარემოში ხარ. უმრავლესობას თავის დროზე „დინამოში“ უთამაშია და, ასე თუ ისე, ერთმანეთს იცნობთ.**

— მთავარი მაინც მწვრთნელია. ჯერ კიდევ მოსკოვის „დინამოში“ თამაშისას მქონდა გაზაევთან თბილი ურთიერთობა და მას მერე ასე გრძელდება. თუმცა, მოედანზე ისევე მექცევა, როგორც სხვებს, იგი ერთნაირად მომთხოვნია ყველას მიმართ. მოედნის გარეთ კი ხშირად ვსაუბრობთ, როგორც მეგობრები. მან ჩემი ავიც იცის და კარგიც. იმედით ისიც მავსებს, რომ ქართველები ოთხნი ვართ. ამასწინათ, ვარჯიშის შემდეგ ბიჭებთან ვიჯექი და ვამბობდი, რა ბედნიერი ვარ, მარტო რომ არ ვარ-მეთქი. მე ხომ შინაურ გარემოს ოთხი წელი ვიყავი მოკლებული. გარდა ამისა, იქაურებიც დიდ პატივს მცემენ. ეს კი ბევრს ნიშნავს. ცვეიბასაც დიდი ხანია ვიცნობ და ეს ყველაფერი სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის.

**— ცვეიბაზე განსაკუთრებით მინდა გკითხო. აფხაზეთში დატრიალებულმა ამბებმა თქვენს ურთიერთობას კვალი არ დაატყო?**

— ვცდილობთ, ომზე არ ვილაპარაკოთ. მხოლოდ ერთხელ ვისაუბრეთ და ახრიკმა ასეთი რამ თქვა — როდის შემდეგ იყო ჩეჩენი აფხაზის ძმა, ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვსო. ეს იყო და ეს, ამაზე მეტად აღარ გვისაუბრია. ახრიკი უაღრესად წესიერი, ალალი, დინჯი ადამიანია და მასთან ურთიერთობაში არანაირი პრობლემა არ გვქონია.

**— ახლა როგორ ფორმაშია?**

— ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს. იაპონიაში დიდძალ ფულს კი აბანდებენ ფეხბურთში, მაგრამ, როგორც ვიცი, უთავო ფეხბურთს თამაშობენ და ეს ფეხბურთელს დაღს ასვამს. ვერ ვიტყვი, რომ ცვეიბა ლიდერად მოევლინა „ალანიას“, მაგრამ თანდათან შედის ფორმაში. პიროვნულადაც შეცვლილი მეჩვენა. როგორც ვიცი, მას კიევის „დინამოში“ რეჟიმის გამო პრობლემები ჰქონდა, ახლა კი ეს ცვეიბასგან გამორიცხულია.

**— შენ უამრავ მწვრთნელთან გიმუშავია. მათ შორის გაზაევს რომელ ადგილს მიაკუთვნებდი?**

— ერთ-ერთ პირველს. და გეტყვი, რატომაც. გაზაევმა იცის, რა სურს და თავის საქმიანობას ამ მიზნისკენ წარმართავს. ეს მეტად მნიშვნელოვანია მწვრთნელისთვის. გაზაევს თავისი სათამაშო სქემა აქვს. მისი განხორციელება შემსრულებელსა და ცოტათი იღბალზეა დამოკიდებული. რაც მთავარია, „ალანიაში“ სათამაშო დისციპლინა უმაღლეს დონეზეა. ჩემთვის, გერმანიაში ნათამაშევი კაცისთვის, ცოტა უჩვეულოც კი იყო გაზაევის დისციპლინა. „აინტრახტში“ ყველამ იცის, რა უნდა ეკეთებინა, იქ მოთამაშეს მწვრთნელის შეხსენება არ სჭირდება. რუსეთი კი სხვა ქვეყანაა. აქ სხვა ფსიქოლოგიის ხალხია. მოთამაშეს უნდა მიუთითო, რა გააკეთოს და რა — არა. ეს იცის გაზაევმა და ამიტომაც იჩენს სიმკაცრეს.

**— ახლა გუნდზე ვთქვათ. არის „ალანია“ თუნდაც შენი დროის „სპარტაკის“ დონის? ან შეუძლია კი ევროპაში ღირსეული თამაში? შენ მრავალი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ გითამაშია და ალბათ, ამის თქმაც შეგიძლია...**

— ჯერ ძნელია ამაზე მსჯელობა. გუნდი ახალი დაკომპლექტებულია და სრულ შეთამაშებაზე საუბარი ნაადრევია. თუმცა, უეჭველია, რომ რუსეთის ჩემპიონატში ლიდერი იქნება. ეს მწვრთნელის მოთხოვნაც არის. „სპარტაკთან“ შედარება მთხოვე. ის მართლაც ძალიან ძლიერი გუნდი იყო, ძლიერი შემსრულებლებიც ჰყავდა რომანცევს. მე ვთვლი, რომ ზუსტად ასეთივე გუნდია „ალანია“. 1992 წლის „სპარტაკის“ არ იყოს, ჩვენც შეგვიძლია დუბლის შესრულება და რუსეთის ჩემპიონობისა და თასის ერთად მოპოვება. ევროპაში რას ვიზამთ, მოთამაშეთა განწყობაზე იქნება დამოკიდებული. ბევრია გამოცდილი მოთამაშე, მაგრამ გამოუცდელიც არ გვყავს ცოტა. ევროპაში კი გამოუცდელი ფეხბურთელებით წარმატების მიღწევა, ცოტა არ იყოს, ძნელია. მაგრამ ვფიქრობ, თუ შიშის ფაქტორმა არ იმოქმედა, გამოუცდელობა ბარიერად არ გვექცევა. თავად გამომიცდია, რაც უნდა კარგი გუნდი იყოს, თუ გამოცდილება აკლია, საერთაშორისო შეხვედრებს შიშით ატარებს. თუმცა, ვნახოთ, გადალახავენ თუ არა მოთამაშეები ამ ბარიერს. შიში თუ დასძლიეს, ვფიქრობ, ძალიან კარგადაც შეუძლიათ გამოსვლა.

**— ამ მხრივ თუ მუშაობს გაზაევი?**

— რა თქმა უნდა. ეს, ალბათ, მის მუშაობაში მთავარ ადგილს დაიკავებს.

**— ალბათ, გაზაევისთვის დიდი დარტყმა იქნება, წელს „ალანია“ ჩემპიონი რომ არ გახდეს...**

— ძალიან ემოციური მწვრთნელია და ჩვენგან მაქსიმუმს ითხოვს. მოსამზადებელ ეტაპზე 17 შეხვედრიდან მხოლოდ სამი დავასრულეთ ფრედ. გაზაევის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა — ფრეს შემდეგ აღარ გველაპარაკებოდა, კინაღამ მოედანზე შემოგვივარდა. რაც შეეხება ჩემპიონობას, ეს, ალბათ, რეალურია და უნდა შევძლოთ კიდეც რუსეთში მეორედ გამარჯვება. ეს თავად ფეხბურთელების კარიერისთვის იქნება გადამწყვეტი. მართალი რომ ვთქვა, ყველა უფრო ძლიერ ევროპულ გუნდში გადასვლაზე ფიქრობს, რაც მხოლოდ კარგი თამაშით და მაღალი შედეგის მიღწევით შეიძლება.

**— შენ რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

— ერთწლიანი, ნოემბრამდე. ესე იგი, სეზონის ბოლოს კონტრაქტი მიმთავრდება. მერე კი ვნახოთ. უარს არ ვიტყოდი უფრო ძლიერ ევროპულ გუნდში გადასვლაზე.

**— გაზაევი შენი თამაშით კმაყოფილია. თავად რას იტყვი შენს თამაშზე — დაიბრუნე სასურველი ფორმა და საკუთარი თავის რწმენა?**

— მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ მოსამზადებელი ეტაპი, როგორც იქნა, გავიარე. სხვა ყველაფერი, ღვთის მადლით, კარგად არის. თავის რწმენა არასოდეს დამიკარგავს, თვით ყველაზე კრიტიკულ ვითარებაშიც კი.

**— ერთ ინტერვიუში გაზაევმა თქვა, ცხადაძეს მარჯვენა მცველად ვაყენებთო. ცოტა უცნაური პოზიცია ხომ არ შეგირჩია ცაცია მცველს?**

— მთლად ასეც არ არის საქმე. მე, შელია და ცვეიბა თამაშის დროს ხშირად ვცვლით პოზიციებს, რამდენიმე მატჩში გაზაევმა მეც დამაყენა უფრო ჩვეულ, ლიბეროს პოზიციაზე. ჩემი მარჯვენა მცველობა კაცზე თამაშს გულისხმობს და არა მარჯვენა ფლანგზე გადასვლას. „ალანია“ 3-5-2 სქემით თამაშობს და მე და შელიას მეტოქის აყვანა გვევალება და არა ფლანგზე გასვლა.

**— სხვა ჩვენებურთა თამაშზე რას გვეტყვი?**

— კი იტყვიან, ცხადაძე მეგობრებზე ცუდს რატომ იტყვისო, მაგრამ მათ მართლაც ყველას მოაწონეს თავი. შელიაზე არაფერს ვიტყვი, რა ხანია, „ალანიაში“ დამკვიდრებული აქვს ადგილი. ძალიან მიხარია, რომ კობიაშვილი დღითი-დღე იზრდება. ეს 19 წლის ბიჭი „ალანიაში“ უკვე ერთ-ერთი ლიდერია. ლევანი პირველად ნორვეგიასთან თამაშისას ვნახე. მანამდე მეგობრებისგან მესმოდა, ძალიან ნიჭიერი ბიჭი იზრდებაო. ახლა, შეკრებებზე, ძალიან მომეწონა, ნორვეგიის შემდეგ აშკარად მოუმატებია, გოლებიც გაიტანა და დაცვაშიც კარგად თამაშობდა. იგივეს ვიტყვი გოგა გახოკიძეზეც. იგი ძირითადში დააყენეს და ყველას მოწონებაც დაიმსახურა. მაგრამ ერთი რამის მეშინია: გოგა, კობიაშვილისგან განსხვავებით, „ალანიამდე“ დიდ დატვირთვას მიუჩვეველი იყო და მეშინია, არ გადაიწვას. სხვა მხრივ, ხომ გითხარი, თავი ყველას მოაწონა. ძალისმიერი თამაშიც შეუძლია, ძალიან ტექნიკურია, შეტევებშიც ძალიან კარგად ითამაშა.

**— გუჩუა რატომღა გამოუშვეს?**

— ეს ბიჭი რუმინელებთან ვნახე პირველად და სხვათა შორის, ძალიანაც მომეწონა. უკვე ახალგაზრდულის ძირითადშიც ვეღარ ხვდებოდა, რაც ძალიან გამიკვირდა. „ალანიაში“ ყველა მხარში ამოვუდექით. მე და შელია ბევრს ვარიგებდით, გუნდთან მისი შეწყობა გვსურდა გაგვეიოლებინა. მაგრამ, ეტყობა, თავის გამოჩენის იმხელა სურვილი ჰქონდა, რომ ამან პირიქით, ხელი შეუშალა და ისე ვერ ითამაშა, როგორც გაზაევს სურდა. ერთხელ გაზაევმა სათადარიგოები ათამაშა, მათ შორის გუჩუაც და მათ თავიანთი უნარი აშკარად ვერ გამოავლინეს. თანაც, მგონი, ვალტერმა დატვირთვასაც ვერ გაუძლო, ბოლო დღეებში რაღაცნაირად მოშვებული იყო. მე და მურთაზი ველაპარაკეთ, ვკითხეთ, რა სჭირდა. რატომღაც დავასკვენი, რომ შიშის ფაქტორიც ბორკავდა — რაც უნდა იყოს, მის გარშემო მაინც ბევრი სახელიანი მოთამაშე იყო. გაზაევი თავადაც მიხვდა, რომ ვალტერს რაღაც სჭირდა. თავადაც ხედავდა, რომ გუჩუას ნიჭი და პოტენცია კი აქვს, მაგრამ ვერ გამოავლინა. მე და შელიამ ვურჩიეთ, საქართველოში დაბრუნებულიყო. „ალანიას“ სათადარიგო სკამზე ჯდომას ისევ „დინამოში“ ან იგივე „ოდიშში“ ყოფნა უჯობდა. გუჩუამაც ეს აზრი უფრო მისაღებად ჩათვალა. უკეთ მოემზადება და, რაც მთავარია, ითამაშებს, ახლა რომ არ დარჩა „ალანიაში“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუჩუას ნიჭი ან პოტენცია აკლია.

**— „ალანიას“ თემა ამით ამოვწუროთ და ახლა ნაკრებზე ვისაუბროთ. ინგლისთან „უემბლიზე“ თამაშის დრო ახლოვდება. შენი აზრით, შესაძლებელია საფრანგეთში მოხვედრა?**

— რა თქმა უნდა, უშანსოდ არ დავრჩენილვართ.

**— ეს თეორიულად. პრაქტიკულადაც ასევეა?**

— ჯერ თეორიული შანსი გეძლევა და შემდეგ უნდა განახორციელო პრაქტიკულად. ყველა ფეხბურთელი ისე უნდა მოემზადოს, რომ „უემბლიზე“ ძლიერად ვითამაშოთ, არა ისე, როგორც თბილისში. მაშინ პრაქტიკულად ინგლისელთა კარისკენ არც დაგვირტყამს. კონკრეტული მიზანი უნდა დავისახოთ, და არა ორი-სამი კომბინაციის კარგად გათამაშება, ეს მიზანი კი სასურველი შედეგის მიღწევაა. ფეხბურთში მთავარი სწორედ შედეგია და არა ფინტების ლამაზად შესრულება. სადაც შედეგია, იქ ტაშიც არის, მაყურებელთა სიმპატიაც და სპეციალისტთა პატივისცემაც.

**— წაგებული შეხვედრის შემდეგ ჩვენი ნაკრების წევრებთან საუბრისას გამიჩნდა აზრი, რომ მათ კმაყოფილებას ჰგვრიდა სწორედ ორი-სამი კომბინაციის კარგად გათამაშება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მაჩანჩალას ფსიქოლოგია — როდესაც წაგება მძაფრ უარყოფით რეაქციას აღარ იწვევს. იქნებ ვცდები და ასე არ იყო?**

— სხვათა შორის, ნორვეგიასთან 0:1-ის შემდეგ მეც ვთქვი, რა კარგად ვითამაშეთ-მეთქი. თუმცა, მერე, რომ დავფიქრდი, მწარედ გამეცინა — აბა როგორღა გვითამაშია კარგად, თუ წავაგეთ. იგივე მოხდა იტალიაში, სადაც ორი საგოლე მომენტი გვქონდა. ყველა ვამბობდით, რა კარგად ვითამაშეთო, მაგრამ ხომ წავაგეთ. მაშ, როგორ ვითამაშეთ კარგად? ესე იგი, არ არის კარგად საქმე. ჩვენ უნდა გადავეწყოთ. არ გვერჩივნა, „საზიზღრად“ გვეთამაშა ინგლისთან და მოგვეგო?! ვინმე დაგვძრახავდა? მთავარი შედეგია. „უემბლიზე“ რომ გავალთ, შედეგისთვის უნდა ვითამაშოთ. ქართველებს თამაში ისედაც ლამაზი გამოგვდის. მთავარია, ყველაფერი შედეგს დავუქვემდებაროთ. და თუ თამაში ჩვენთვის სასურველად წარიმართა, მერეღა შეიძლება ფეხბურთელმა თავის გემოზე ითამაშოს.

**— უთამაშია კი ჩვენებიდან ვინმეს ისე, როგორც საკუთარი ინტერესებისთვის ამჯობინებდა?**

— უბრალოდ, იმას ვგულისხმობ, რომ ჩვენ ბევრი ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშე გვყავს, მაგრამ კოლექტიურ თამაშში მოვიკოჭლებთ.

**— 1 იანვარის საახალწლო ტელეგადაცემაში ჩივაძის გულმხურვალე დამცველად მოგვევლინე, თანაც ისე, რომ წამყვანს მთავარ მწვრთნელზე არაფერი უკითხავს!...**

— როდესაც გუნდი ცუდად თამაშობს, ბუნებრივია, ეს მწვრთნელის ბრალიც არის და მოთამაშეებისაც. მე კი დავინახე, რომ უცებ ეს კაცი მარტო დარჩა. ჩვენც გვაკრიტიკებდნენ, მაგრამ არა ისე, როგორც ჩივაძეს და ისე გამოდიოდა, რომ ჩვენ იგი მივატოვეთ. კრიტიკის ჯოხი მხოლოდ ჩივაძეზე გადატყდა და მინდოდა, ასეთ დღეში მყოფ კაცს გვერდში დავდგომოდი. თანაც მე კაპიტნად სწორედ ჩივაძემ დამაყენა.

**— კაცი იფიქრებს, კაპიტნად დანიშვნის გამო ვალი ხომ არ გადაუხადაო...**

— ეს იყო ჩვეულებრივი, ადამიანური თანადგომა, არავითარი პირადული ამაში არაფერია, მით უფრო, ვალის გადახდის მცდელობა. ჩვენ ყველამ ერთად წავაგეთ და ჩემგან გვერდზე გადგომა და ჩივაძეზე ხელების შეწმენდა, სხვა თუ არაფერი, ადამიანური თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნებოდა. მე კაპიტანი ვარ და, გემისა არ იყოს, ბოლომდე გემზე უნდა დავრჩე, თუნდაც განწირულზე.

**— ახალ მწვრთნელზე რას იტყვი?**

— რა თქმა უნდა, ჩივაძეს ყიფიანისნაირი გამოცდილება აკლია. მარტო ის რამდენს ნიშნავს, რომ ყიფიანი „დინამოს“ საბჭოთა კავშირის პირველობებზე ავარჯიშებდა. მან დიდი გამოცდილება შეიძინა, რაც ჩივაძეს აკლდა, თანაც იგი ცოტა რბილი მწვრთნელი იყო. ჩივაძე ძალიან მეგობრული და თბილი კაცია. მოთამაშეებს ძალიან გვიყვარს, მაგრამ ლმობიერი მწვრთნელი იყო.

**— ეს იყო მისი შეცდომა?**

— შეიძლება... ალბათ სჯობდა, მკაცრი ყოფილიყო. ჩივაძეს ისე ვუყვარდით, რომ ბოლომდე გვენდობოდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ნაკრებში სიმკაცრეა საჭირო. ისეთ სიმკაცრეს არ ვგულისხმობ, როგორიც ჰაინკენსმა „ტენერიფეში“ დაამკვიდრა: მოთამაშეების ყურადღებას აღუნებსო და მათ ჯიბის ტელეფონების ტარება აუკრძალა. მე უფრო გააზრებულ სიმკაცრეს ვგულისხმობ. ასეთი იდიოტური აკრძალვები სისულელეა. ნაკრებში ზოგი რამ უნდა შეიცვალოს, მაგრამ არა მგონია, ყიფიანს ეს ჩემგან ესწავლებოდეს. ძალიან გამიხარდა მისი დანიშვნა. ყველამ ვიცოდით, რომ ყიფიანი ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალური და სასურველი კანდიდატი იყო.

**მერაბ მამულაშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

9 ნოემბრის მატჩის წინ: ტონი ადამსი და კახა ცხადაძე

## ინგლისი

### XXVII ტური

**ასტონ ვილა 1:0 ლივერპული**

**ასტონ ვილა: ბოზნიჩი, ნელსონი, რაიტი, ეჰიოგუ, სტონტონი (მიუზი46), საუთგეიტი, თაუნსენდი, ტეილორი, დრეიპერი, მილოშევიჩი, იორკი**
**ლივერპული: ჯეიმსი, მატეო, კვარმე, მაკატირი, რაიტი, ბიორნებიუ, მაკმანამანი, კოლიმორი (ბერგერი 54), ფაულერი, ბარნსი, რედნეპი**
**გოლი: ტეილორი (83)**

„ლივერპულსა" და პირველ ადგილზე მყოფ მანჩესტერელებს შორის ქულათა სხვაობა ოთხამდე გაიზარდა. იან ტეილორის გოლი პირველი იყო, ბირმინგემელებმა ლივერპულელებს ბოლო ხუთ თამაშში რომ გაუტანეს, „ლივერპულმა" კი, მას შემდეგ, რაც 1 იანვარს „ჩელსის" მატეომ გაუტანა, პირველი ბურთი გაუშვა 580 წუთის მანძილზე.

პირველ ნახევარში „ვილა" მძლავრობდა და მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, თუმცა გატანა ვერ მოახერხეს. მასპინძელთა აფრიკელმა ლეგიონერმა დუაიტ იორკმა მეკარესთან პირისპირაც ვერ ივარგა. მეორე ნახევარში გამოირჩეოდა ბარნსი. ათ წუთში მან სამი სახიფათო მომენტი შექმნა. შეხვედრის განახლებიდან 10 წუთში მოედანზე ჩეხი ბერგერი შევიდა, მაგრამ დიდი ვერაფერი საქმე გააკეთა. მატჩის მიწურულს კი ტეილორმა შესაძლოა ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი გოლი შეაგდო.

**ბლექბერნი 1:0 სანდერლენდი**

**ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი, ბოჰინენი, უილკოქსი, პედერსენი (მარკერი 90), დონისი (უერჰარტსი 31), ბერგი**
**სანდერლენდი: პერეზი, კუბიჩკი, ბრაისველი (რეი 84), ბოლი, მელვილი, გრეი (სმიტი 84), ორდი, ჰოლი, კელი, მულინი (რასელი 64), უილიამსი**
**გოლი: გალაჰერი (84)**

გოლამდე მეტოქეები უჯიგროდ თამაშობდნენ და ალბათ ამიტომაც იყო, მთელ შეხვედრაში ოთხამდე სახიფათო მომენტი რომ შეიქმნა. 84-ე წუთზე „ბლექბერნმა" კუთხურის უფლება მოიპოვა. ჩაწოდებული ბურთი სტუმრებმა კი მოიგერიეს, მაგრამ ბურთთან პირველი გალაჰერი გაჩნდა და 23 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა.

**დერბი ქაუნთი 3:2 ჩელსი**

**დერბი: ჰოლტი, კერსლი, როუეტი, ლაურსენი, პაუელი, შტიმაცი, ვან დერ ლაანი, ასანოვიჩი, დეილი, უორდი, სტარიჯი**
**ჩელსი: გროდასი, ლებეფი, კლარკი, მეიერსი, ვიალი (გულიტი 62; ნიკოლსი 79), მ.ჰიუზი, უაიზი, დი მატეო, მინტო, სინკლერი, პ.ჰიუზი (მორისი 76)**
**გოლი: მინტო (16), მინტო (51 საკ.კარში), ლებეფი (54), ასანოვიჩი (62 პ), უორდი (90)**
**გაძევება: ლებეფი (61)**

მეტოქეების პირველი წრის შეხვედრაში ძოლამ სტუმრებს ბედნიერი ადინა და მოგებაშიც ლომის წილი დაიდო. ამ თამაშში კი გულიტმა მისი დასვენება გადაწყვიტა, რაც სამი ქულის დაკარგვად დაუჯდა. სამაგიეროდ, ძირითადში თამაში ელირსა ვიალის. თავიდან მასპინძლებმა შეუტიეს. დეილი გროდასს გასცდა, მაგრამ ბურთი ზედ კარის ხაზთან მოიგერია ლებეფმა. ამას კიდევ რამდენიმე შეტევა მოჰყვა. ერთ-ერთისას „ჩელსიმ" მასპინძლები კონტრშეტევაზე გამოიჭირა: მარკ ჰიუზმა მოგვარე პოლს გაუთამაშა, ამან ნიუტონს მიაწოდა, რომელმაც მინტოს გადასცა, ამის დარტყმას კი მეკარემ ვერაფერი მოუხერხა. შესვენების შემდეგ ათ წუთში ლონდონელებმა ორჯერ გაიტანეს, მაგრამ ერთხელ საკუთარ კარში: ჯერ სტარიჯის ჩაწოდებული მინტოს აეჭრა, სამ წუთში კი უაიზის დარტყმულ ჯარიმას ლებეფმა თავი დაურთო ზუსტად. 61-ე წუთზე ასანოვიჩმა კუთხური ჩააწოდა, პაუელმა შეუჩერებლივ დაარტყა, ბურთიც გადიოდა, მაგრამ ლებეფმა ხელით შეაჩერა. მსაჯმა დამნაშავე გააძევა და პენალტიც დადო. თამაშის ფრედ დამთავრებას წამები უკლდა, უორდმა სამი ქულის მომტანი გოლი რომ გაიტანა: სტარიჯმა ბურთს ფეხი ააცილა, ის უორდთან მიგორდა, მერე კი ბადეშიც გაეხვია.

**ევერტონი 0:2 არსენალი**

**ევერტონი: საუთჰოლი, ბარეტი, ანსუორსი (შორტი 46), უოტსონი, ჯქლანი, სტიუარტი, ფერგიუსონი, სპიდი, ბარმბი (ბრენზი 46), ტომსონი, პარკინსონი**
**არსენალი: ლუკიჩი, დიქსონი, უინთერბერნი, ვიეირა, პლატი, რაიტი, ბერხკამპი, კიოუნი, გარდე (მოროუ 46), მარშალი, ჰიუზი**
**გოლი: ბერხკამპი (21), რაიტი (27)**



„ასტონ ვილას" მეკარემ მარკ ბოზნიჩმა ლივერპულელ რობი ფაულერს გოლი არ გაიტანინა, ბოლოს კი მეგობრულად დაემშვიდობა

REUTERS

სტუმრებს ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო სიმენი, ადამსი, ბოულდი, მერსონი და პარლოუ აკლდათ, თუმცა ისე ითამაშეს, რომ ამათი არყოფნა არ დაიტყვეს. ექვსი კვირაა, არ ეთამაშა ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს დევიდ პლატს, მასპინძელთა რიგებში კი ტრავმირებული გერარდის ნაცვლად კვლავ გამოჩნდა ვეტერანი საუთჰოლი. სწორედ მისი დამსახურებაა, ლივერპულელებმა დიდი ანგარიშით რომ არ წააგეს. საწყის ათ წუთში უელსელმა მეკარემ ვიეირას და ბერხკამპს სამი დარტყმა აულო, თუმცა 21-ე წუთზე ვერაფერი გააწყო ჰოლანდიელის დარტყმასთან: ანსუორსმა უხეიროდ მოიგერია ბურთი, დენისმა კი მოჭრილად დაარტყა და გაიტანა. გოლმა მასპინძლები დააბნია და მალე მეორედაც დაიწყეს ცენტრიდან თამაში: რაიტმა გარდეს გადაცემით იხეირა. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულ შორტს შეეძლო გატანა, მაგრამ თაური ხარისას გადააცილა, მას კი აცილებაში ფერგიუსონმა, სპიდმა, ტომსონმა და პარკინსონმაც აუბეს მხარი.

**ლიდსი 1:0 ვესტ ჰემი**

**ლიდსი: მარტინი, რადებე, უეზეროლი, შარპი, რაში, დინი, ბოუერი (პალმერი 46), ჰეილი, ჰერტი, იებოა, მოლინაარი**
**ვესტ ჰემი: მიკლოშკო, ბრეიკერი (ლამპარდი 84), დიქსი, ბიშოპი (ომორიმი 84), კიტსონი, დაუი, მონკური, ჰიუზი, ბოუენი (როულენდი 65), ფერდინანდი, ბილიჩი**
**გოლი: შარპი (47)**
**გაძევება: ჰიუზი (78)**

განელი იებოა სეზონში პირველად თამაშობდა ძირითადში. სწორედ მასთან უხეშობისთვის გააძევეს ჰიუზი. მეორე ტაიმის განახლებას გოლი მოჰყვა — ლი შარპმა სეზონში მეხუთედ გაიტანა.

**მანჩესტერი 3:1 ქოვენთრი**

**მანჩესტერი: შმაიხელი, გ.ნევილი, ირვინი (ფ.ნევილი 49), მეი, პალისტერი, კანტონა, კოული, ბექემი (მაკკლეირი 64), გიგზი (იონსენი 71), კრუიფი, პობორსკი**
**ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, უილიამსი, ჯესი, ველანი, დაბლინი, მაკალისტერი, ჰაკერბი, ჰოლი (ტელფერი 49), ევტუშოკი (ნდლოვუ 30), ბრინი**
**გოლი: ბრინი (4 საკ.კარში), კოული (5), პობორსკი (47), ჰაკერბი (86)**

4 წუთსა და 20 წამში სტუმართათვის ყველაფერი დასრულდა. „ოლდ ტრეფორდზე" ნათამაშევ 55 მატჩში „ქოვენთრის" მხოლოდ ექვსჯერ მოუგია, ბოლო შვიდ სეზონში კი ამ სტადიონზე გოლიც ვერ გაეტანა. მასპინძლებმა სტუმრებს მალევე მოუთავეს საქმე, თანაც პირველი გოლი საკუთარ კარში გაატანინეს: გარი ბრინმა კანტონას მიერ კოულისკენ გაგზავნილი ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. 40 წამში ოგრიზოვიჩი გიგზის უძლიერეს დარტყმას კი დაუხვდა, მაგრამ ბურთი ხელში ვერ დაიჭირა, კრუიფმა მარტოდ დარჩენილ კოულს მიაწოდა, ენდიმ კი მეორე გაიტანა. ამის მერე მასპინძლები 20 წუთით დაწყნარდნენ. სტუმართა მოთამაშე-მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა გუნდს შეტევისკენ მოუწოდა, პრემიერლიგაში პირველად მოთამაშე უკრაინელი ალექსანდრე ევტუშოკი ფორვარდ ნდლოვუთი შეცვალა, მაგრამ სახეიროს ვერაფერს მიაღწია. განახლდა თუ არა თამაში, გოლიც გავიდა: პობორსკიმ გარი ნევილს მიაწოდა, ამან კანტონას, ერიკმა ირვინს, ირვინმა კრუიფს, ჰოლანდიელმა კოულს, ენდიმ შეტევის წამომწყები პობორსკი მოძებნა, ჩეხის დარტყმა კი შორეულ კუთხეში გავიდა. საქმე მოთავებულიაო, ფერგიუსონმა მოედანზე სათადარიგოები შეუშვა. მერე შმაიხელმა შოუს აულო. აი, ჰაკერბის 25 მეტრიდან დარტყმულს კი ვერაფერი დააკლო.

**ნიუკასლი 0:1 საუთჰემპტონი**

**ნიუკასლი: ჰისლოპი, უოტსონი, პიკოკი, ალბერი, ელიოტი, ბარტონი, კლარკი (ბერდსლი 71), ლი, გილესპი, ასპრილია, ფერდინანდი (ჟინოლა 46)**
**საუთჰემპტონი: ტეილორი, დრაიდენი, ლუნდეკვამი, ვან გობელი, ბენალი, ჩარლტონი (სლეიტერი 61), ნილსონი, მეჯილტონი, ბერკოვიჩი (მედისონი 67), ლე ტისიე (უორენი 77), ოსტენსტადი**
**გოლი: ლე ტისიე (56)**

„ნიუკასლი", რაც კლუბს დალგლიში ხელმძღვანელობს, მეორედ დამარცხდა ჩემპიონატში. შეხვედრას უეფას თასის მეოთხედფინალში ნიუკასლელთა მეტოქის „მონაკოს" მწვრთნელი ჟან ტიგანა ესწრებოდა. მატჩი საკმაოდ უსახური გამოდგა. ვერ გაამართლა დალგლიშის მიერ თავდასხმაში განწესებულმა ასპრილია-ფერდინანდის დუეტმა. სტუმართა შორის გამოსარჩევია ლე ტისიე, რომელსაც მჭიდროდ მეურვეობდა ალბერი, მაგრამ ფორვარდს აშკარად ვერ უმკლავდებოდა. მეორე ტაიმში დალგლიშმა ათვალწუნებული ჟინოლა შეუშვა მოედანზე და ფრანგმაც იმავ წუთს სახიფათო მომენტი გააზერხა, თუმცა მისი პასი ასპრილიამ გააცუდა. „ნიუკასლი" შეტევებით გაერთო და დაისაჯა კიდეც: სტუმართა ერთ-ერთი იერიშისას ლე ტისიემ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

**ტოტენჰემი 0:1 ნოტინგემი**

**ტოტენჰემი: უოქერი, ოსტინი (როზენტალი 72), ჰოუელსი, კალდერვუდი, შერინგემი, უილსონი, ივერსენი, კემპბელი, სინტონი (დოზელი 59), ნილსენი, სკაილზი**
**ნოტინგემი: რაიტი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ჯემილი, სონდერსი (მაკგრეგორი 90), ჰაალანდი, კლაფი, იერკანი, ალენი (ფილიპსი 85)**
**გოლი: სონდერსი (18)**

დევიტ ბესეტის თავკაცობით „ნოტინგემმა" პირველად მოიგო. „ტოტენჰემმა" კი ბოლო ცხრა შეხვედრაში ერთხელ მოიგო და ვერც იმ დღეს დატოვა ხეირიანი შთაბეჭდილება. სტუმრებმა დისკვალიფიკაციის გამო მეკარე კროსლი ვერ ათამაშეს, მის ნაცვლად გაყვანილმა ტომი რაიტმა კი პირველად ითამაშა ბოლო ორწლინახევრის მანძილზე. „ტოტენჰემში" პირველად ითამაშა „ლივერპულისგან" 2,5 მილიონ გირვანქად შეძენილმა ჯონ სკაილზმა, რომელიც გაშვებულ გოლში მთავარი დამნაშავე აღმოჩნდა: სონდერსმა ფანდებით თავგზა აუბნია და მისი მოტყუების შემდეგ გაიტანა სამი ქულის მომტანი გოლი.

**უიმბლდონი 1:3 ლესტერი**

**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ბლექველი, ერლი, ჰოლდსუორსი, პერი, გუდმენი (კასტელდაინი 83), ერდლი, კლარკი (ჰერფორდი 46), ფეარი**
**ლესტერი: პული, გრეისონი, უოლში, იზეტი, ლენონი, ტეილორი (ლოურენსი 70), ჰესკი, რობინსი, პრაიორი, ჯაპი, ელიოტი**
**გოლი: ელიოტი (17, 27), რობინსი (32), ჰოლდსუორსი**

პირველ წრეში სწორედ „ლესტერმა" შეწყვიტა გიჟების დაუმარცხებელი სერია. ახლაც მან გაამწარა „უიმბლდონი".

**შეფილდი 3:1 მიდლსბრო**

**შეფილდი: პრესმენი, ეზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, ნიუსამი, უოქერი, კარბონე (ბლინკერი 78), ბუთი, ჰერსტი (ჰამფრიზი 78), ჰაიდი (სტეფანოვიჩი 90)**
**მიდლსბრო: შვარცერი, კოქსი, უაიტი (სტამპი 46), ვიკერსი, ემერსონი, კინდერი, მასტო, ჟუნინიო, რავანელი, მური (ბექი 45), ფესტა**
**გოლი: ბუთი (21), ჰაიდი (43), მასტო (72), პემბრიჯი (90 პ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 28 | 16 | 9 | 3 | 56:31 | 57 |
| ლივერპული | 28 | 15 | 8 | 5 | 46:21 | 53 |
| არსენალი | 29 | 14 | 9 | 6 | 47:26 | 51 |
| ნიუკასლი | 27 | 14 | 6 | 7 | 51:31 | 48 |
| ასტონ ვილა | 28 | 13 | 7 | 8 | 35:26 | 46 |
| უიმბლდონი | 26 | 12 | 7 | 7 | 38:31 | 43 |
| ჩელსი | 26 | 11 | 9 | 6 | 41:37 | 42 |
| შეფილდი | 27 | 10 | 12 | 5 | 34:32 | 42 |
| ლიდსი | 28 | 10 | 6 | 12 | 23:31 | 36 |
| ლესტერი | 26 | 9 | 6 | 11 | 32:38 | 33 |
| ევერტონი | 27 | 8 | 8 | 11 | 34:40 | 32 |
| ტოტენჰემი | 27 | 9 | 5 | 13 | 30:38 | 32 |
| დერბი | 28 | 7 | 11 | 10 | 30:38 | 32 |
| ბლექბერნი | 26 | 7 | 10 | 9 | 27:25 | 31 |
| სანდერლენდი | 27 | 7 | 8 | 12 | 23:34 | 29 |
| ქოვენთრი | 28 | 6 | 10 | 12 | 25:38 | 28 |
| ნოტინგემი | 27 | 6 | 9 | 12 | 24:40 | 27 |
| ვესტ ჰემი | 27 | 6 | 7 | 14 | 24:37 | 25 |
| საუთჰემპტონი | 26 | 6 | 6 | 14 | 35:44 | 24 |
| მიდლსბრო | 26 | 5 | 7 | 14 | 31:48 | 19 |

## პირველი დივიზიონი

**ბრედფორდი — სიტი 1:3, ბოლტონი — ვესტ ბრომვიჩი 1:0, გრიმსბი — ბირმინგემი 2:1, ნორვიჩი — ჰადერსფილდი 2:0, ოქსფორდი — კრისტალ პალასი 1:4, პორტ ველი — რედინგი 1:0, პორტსმუთი — შეფილდ იუნაიტედი 1:1, ქუინზ პარკი — ოლდემი 0:1, საუთენდი — ბარნსლი 1:2, სვინდონი — ჩარლტონი 1:0, ვულვერჰემპტონი — იფსვიჩი 0:0.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 35 | 20 | 11 | 4 | 72:45 | 71 |
| ვულვზი | 34 | 17 | 8 | 9 | 47:32 | 59 |
| ბარნსლი | 33 | 16 | 10 | 7 | 56:41 | 58 |
| შეფილდი | 34 | 15 | 10 | 9 | 58:40 | 55 |
| ნორვიჩი | 35 | 15 | 9 | 11 | 53:53 | 54 |
| კრისტალ პალ. | 33 | 14 | 10 | 9 | 63:35 | 52 |
| პორტ ველი | 35 | 12 | 14 | 9 | 43:39 | 50 |
| იფსვიჩი | 34 | 12 | 13 | 9 | 54:42 | 49 |
| პორტსმუთი | 34 | 14 | 7 | 13 | 41:38 | 49 |
| სვინდონი | 35 | 14 | 6 | 15 | 49:46 | 48 |
| სტოკ სიტი | 33 | 13 | 9 | 11 | 40:43 | 48 |
| ტრანმერი | 33 | 19 | 8 | 12 | 44:42 | 47 |
| ქუინზ პარკი | 34 | 11 | 11 | 12 | 44:46 | 44 |
| ოქსფორდი | 34 | 12 | 7 | 15 | 47:47 | 43 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 9 | 14 | 12 | 54:61 | 41 |
| სიტი | 32 | 12 | 5 | 15 | 42:44 | 41 |
| ჰადერსფილდი | 35 | 10 | 11 | 14 | 40:50 | 41 |
| რედინგი | 33 | 10 | 10 | 13 | 43:51 | 40 |
| ჩარლტონი | 33 | 11 | 7 | 15 | 39:48 | 40 |
| ბირმინგემი | 32 | 10 | 10 | 12 | 36:39 | 40 |
| ბრედფორდი | 34 | 8 | 10 | 16 | 33:53 | 34 |
| საუთენდი | 35 | 7 | 12 | 16 | 34:62 | 33 |
| გრიმსბი | 33 | 7 | 10 | 16 | 42:60 | 31 |
| ოლდემი | 32 | 7 | 10 | 15 | 33:43 | 31 |

## გერმანია

### XX ტური

**ბრემენი 3:1 ბოხუმი**

1:0 [illegible] (42), 2:0 [illegible] (45), 3:0 [illegible] (71), 3:1 [illegible] (84)

**შალკე 0:0 ზანქტ პაული**

**კარლსრუე 1:1 გლადბახი**

0:1 იუხკოვიაკი (62), 1:1 ჰესლერი (80)

**ვერდერი 2:2 შტუტგარტი**

1:0 ჰერცოგი (5 პ), 1:1 ბობიჩი (10), 2:1 ჰერცოგი (12), 2:2 შნაიდერი (87)

**კიოლნი 1:0 ფრაიბურგი**

1:0 გაისმაიერი (77)

**დორტმუნდი 4:1 მიუნხენი**

1:0 რიდლე (22), 2:0 სოუზა (34), 2:1 ბორიმიროვი (41), 3:1 შაპუიზა (45 პ), 4:1 კოლერი (50)

**ბაიერნი 5:2 დუისბურგი**

1:0 ბასლერი (3), 2:0 კლინსმანი (26), 3:0 ციგე (48), 4:0 ციგე (59), 5:0 როიტერი (53 საკ.კარში), 5:1 ნიიჰუსი (72), 5:2 ნიიჰუსი (83)

**ფორტუნა 0:0 ლევერკუზენი**

**ჰამბურგი 1:1 ჰანზა**

1:0 შპორლი (20 პ), 1:1 აკპობორი (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 20 | 12 | 7 | 1 | 36:17 | 43 |
| დორტმუნდი | 20 | 12 | 4 | 4 | 43:22 | 40 |
| ლევერკუზენი | 20 | 11 | 5 | 4 | 40:25 | 38 |
| შტუტგარტი | 20 | 10 | 5 | 5 | 42:22 | 35 |
| კიოლნი | 20 | 10 | 2 | 8 | 36:32 | 32 |
| კარლსრუე | 20 | 8 | 6 | 6 | 32:23 | 30 |
| შალკე 04 | 20 | 8 | 6 | 6 | 26:26 | 30 |
| ვერდერი | 20 | 8 | 5 | 7 | 33:30 | 29 |
| ბოხუმი | 19 | 7 | 8 | 4 | 26:26 | 29 |
| არმინია | 20 | 7 | 4 | 9 | 26:33 | 25 |
| ჰამბურგი | 20 | 6 | 6 | 8 | 29:30 | 24 |
| მიუნხენ 1860 | 20 | 6 | 6 | 8 | 31:38 | 24 |
| დუისბურგი | 20 | 6 | 5 | 9 | 20:29 | 23 |
| ფორტუნა | 20 | 6 | 4 | 10 | 16:28 | 22 |
| გლადბახი | 20 | 5 | 5 | 10 | 15:24 | 20 |
| ზანქტ პაული | 19 | 5 | 4 | 10 | 23:35 | 19 |
| ჰანზა | 20 | 4 | 5 | 11 | 21:29 | 17 |
| ფრაიბურგი | 20 | 4 | 1 | 15 | 20:46 | 13 |

## მეორე ბუნდესლიგა

მე-19 ტური. ფორტუნა (კიოლნი) — მანჰაიმი 4:0, როტ ვაისი — კარლ ცაისი 0:2, ლაიპციგი — მაინცი 3:0, გიუტერსლო — ურდინგენი 1:1, ოლდენბურგი — უნტერჰახინგი 1:3, კაიზერსლაუტერნი — კიკერსი 2:0, ლიუბეკი — მეპენი 4:1, ცვიკაუ — აინტრახტი 1:0, ჰერტა — ვოლფსბურგი ნუხელ გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| + სლაუტერნი | 19 | 10 | 7 | 2 | 34:11 | 37 |
| ჰერტა | 18 | 9 | 4 | 5 | 28:18 | 31 |
| ვოლფსბურგი | 18 | 7 | 9 | 2 | 22:12 | 30 |
| მეპენი | 19 | 7 | 8 | 4 | 25:24 | 29 |
| მაინცი | 19 | 7 | 7 | 5 | 29:24 | 28 |
| უნტერჰახინგი | 19 | 5 | 13 | 1 | 17:13 | 28 |
| ფორტუნა | 19 | 7 | 6 | 6 | 35:24 | 27 |
| ლაიპციგი | 19 | 7 | 6 | 6 | 31:32 | 27 |
| კარლ ცაისი | 19 | 6 | 8 | 5 | 26:26 | 26 |
| გიუტერსლო | 19 | 7 | 5 | 7 | 24:26 | 26 |
| ურდინგენი | 19 | 7 | 4 | 8 | 31:24 | 25 |
| კიკერსი | 19 | 6 | 7 | 6 | 22:21 | 25 |
| მანჰაიმი | 19 | 6 | 5 | 8 | 29:33 | 23 |
| აინტრახტი | 19 | 6 | 4 | 9 | 26:29 | 22 |
| ცვიკაუ | 19 | 6 | 4 | 9 | 19:26 | 22 |
| როტ ვაისი | 19 | 5 | 2 | 12 | 23:42 | 17 |
| ლიუბეკი | 19 | 3 | 7 | 9 | 16:33 | 16 |
| ოლდენბურგი | 19 | 4 | 4 | 11 | 22:41 | 16 |

## შოტლანდია

**29-ე ტური. აბერდინი — რეინჯერსი 2:2, სელტიკი — ჰარტსი 2:0, დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი 2:1, ჰიბერნიანი — მოზერველი 1:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 28 | 21 | 5 | 2 | 71:24 | 68 |
| სელტიკი | 28 | 20 | 3 | 5 | 66:25 | 63 |
| დანდი იუნ. | 28 | 14 | 7 | 7 | 39:24 | 49 |
| ჰარტსი | 29 | 11 | 8 | 10 | 40:39 | 41 |
| აბერდინი | 29 | 9 | 10 | 10 | 40:48 | 36 |
| დანფერმლაინი | 28 | 10 | 5 | 13 | 42:52 | 35 |
| მოზერველი | 29 | 7 | 8 | 14 | 33:50 | 29 |
| ჰიბერნიანი | 28 | 6 | 8 | 14 | 28:47 | 26 |
| კილმარნოკი | 27 | 7 | 3 | 17 | 31:53 | 24 |
| რეით როვერსი | 28 | 5 | 5 | 18 | 24:54 | 20 |

## შვეიცარია

**ფინალური ეტაპის 1 ტური. ბაზელი — ციურიხი 1:0, გრასჰოპერი — არაუ 4:2, ლოზანა — სიონი 2:0, სენტ გალენი — ქსამაქსი 1:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 23 |
| გრასჰოპერი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 23 |
| ლოზანა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 20 |
| სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 19 |
| არაუ | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 18 |
| სენტ გალენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 16 |
| ბაზელი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 16 |
| ციურიხი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 14 |

გუნდებს ემატებათ წინასწარ ეტაპზე დაგროვილი ქულების ნახევარი.

## ესპანეთი

### XXVII ტური

**რაიო 1:2 დეპორტივო**

0:1 რივალდო (20), 0:2 მარტინსი (51), 1:2 კლიმოვიჩი (80)

**ატლეტიკო 3:2 სევილია**

0:1 ხოსე მარია (2), 1:1 კამინერო (20), 2:1 კამინერო (24), 3:1 კიკო (46), 3:2 ლორენი (50)

**ტენერიფე 4:0 ბარსელონა**

1:0 ფელიპე (6), 2:0 იოკანოვიჩი (60პ), 3:0 იოკანოვიჩი (74პ), 4:0 იოკანოვიჩი (83)

**ლოგრონიესი 2:1 ვალენსია**

0:1 გალვესი (14), 1:1 აბადია (49), 2:1 აბადია (75)

**კომპოსტელა 2:1 სპორტინგი**

1:0 პენევი (30პ), 2:1 ხუარესი (58), 2:1 ჩერიშევი (75)

**სარაგოსა 1:0 ვალიადოლიდი**

1:0 მორიენტესი (59)

**სოსიედადი 0:0 ბილბაო**

**რასინგი 2:3 ესტრემადურა**

0:1 დურე (12), 0:2 პინედა (41), 1:2 ლოპესი (46), 1:3 ბახუალდო (81), 2:3 კორეა (83)

**ბეტისი 2:1 ერკულესი**

1:0 პერესი (7), 2:0 ფინიდი (63), 2:1 პავლიჩიჩი (93)

**ოვიედო 2:1 სელტა**

0:1 მოსტოვოი (3), 1:1 ალვარესი (50), 2:1 მაკედო (53)

ესპანიოლი — რეალი წუხელ გაიმართა

„ბარსელონას" კუნძულზე წაგებამ კატალონიაში მორიგი აღშფოთება გამოიწვია. „ამ შეურაცხმყოფელი წაგების შემდეგ რობსონი ელექტრონულ სკამზე ზის და მისი ჩართვის მოლოდინშია. მარცხმა მწარე გემო დაგვიტოვა, რომლის გადაყლაპვაც მეტისმეტად ძნელია. ნეტავ, კლუბის დირექტორები რობსონის თანამდებობიდან გაშვებას დააყენებენ საშველს, თუ კვლავაც დაიტოვებენ მას და ამით მოთამაშეთა აგონიას გააგრძელებენ? ფრთხილად ვიყოთ, შესაძლოა ვიცე-პრეზიდენტმა გასპარმა ამ კვირაშიც განაცხადოს, რომ რობსონი კონტრაქტის ვადის ბოლომდე არსად წავა" — წერდა „მარკა".

თავად მწვრთნელი კი კერკეტი კაკალია. მან ხომ გასულ წელიწადს ცხვირში სიმსივნე მოიხელა და თქვის, რომ ამ ცხოვრებაში დაუძლეველი არაფერია „ტენერიფესთან" მარცხის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ინგლისელმა კლუბიდან წასვლა-დარჩენის თაობაზე საუბარი არ ისურვა. საფეხბურთო საკითხებზე კი დაუფარავად გამოთქვა თავისი აზრი:

— ვფიქრობ პენალტი გვეკუთვნოდა, მაგრამ არ დაგვინიშნეს, ეს კი მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მსაჯები არ იღებენ, საპირისპიროდ კი არაფერს ერიდებიან. ჩვენ კარგი მსაჯობა გვჭირდება. აბელარდოს გაძევებით თამაში ფაქტობრივად დასრულდა.

ორი პენალტი და ამდენივე გაძევება — ასეთია „ბარსას" საწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი. რობსონს ასეთი ვერდიქტი უსამართლობად მიაჩნია, თუმცა კაცმა არ იცის... გაძევებით, ზემოხსენებული აბელარდოს გარდა, ნადალიც გაძევეს, ორივე უკანასკნელი იმედის ჯარიმის გამო. ამ ჯარიმებიდან ერთი პენალტი იყო, რომელიც სლავიშა იოკანოვიჩმა შეაგდო. მანვე კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანი გაიტანა, რასაც ერთი ჩვეულებრივი გოლიც დაამატა და ჰეთ-თრიკი შეასრულა. პირველი გოლი კი მატჩის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ ფელიპემ შეაგდო.

აღსანიშნავია, რომ რობსონმა, შუა კვირაში გასამართი თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური მატჩის წინ, ტენერიფეზე რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა და მაინც... ბოლო სამი სტუმრობისას კატალონიელებს სამი მოთამაშე გაუძევეს, მათ კარში კი ხუთი თერთმეტმეტრიანი დაინიშნა.

„ბარსელონას" დასაწევად ხელი გამოიღო „ბეტისმა". მან „ერკულესი" დაამარცხა. ანგარიში ალფონსო პერესმა გახსნა, სეზონში თავისი მეცამეტე გოლით, ნიგერიელმა ფინიდიმ კი ზედ მეორე დაურთო. ალიკანტელი დუბრავკო პავლიჩიჩის გოლს ქულათა განაწილების თვალსაზრისით არაფერი შეუცვლია.

ჩემპიონმა მადრიდის „ატლეტიკომ" „სევილიას" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა წაართვა — 3:2. ამ შეხვედრაში ორი გოლი ხოსე ლუის კამინერომ გაიტანა, ოღონდ მატჩი დამთავრდა თუ არა, სახლს მიაშურა და ლოგინში ჩაწვა — ამ ბოლო დროს მუცლის ტკივილი აწუხებს. სრულიად შესაძლებელია, კამინერომ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მატჩი გამოტოვოს „აიაქსთან".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 26 | 17 | 8 | 1 | 57:22 | 59 |
| ბარსელონა | 27 | 16 | 5 | 6 | 67:37 | 53 |
| ბეტისი | 26 | 14 | 8 | 4 | 53:28 | 50 |
| დეპორტივო | 27 | 13 | 11 | 3 | 40:20 | 50 |
| ატლეტიკო | 26 | 14 | 7 | 5 | 51:31 | 49 |
| სოსიედადი | 27 | 13 | 6 | 8 | 35:29 | 45 |
| ბილბაო | 27 | 10 | 11 | 6 | 46:36 | 41 |
| ვალიადოლიდი | 27 | 11 | 7 | 9 | 35:30 | 40 |
| ტენერიფე | 26 | 11 | 6 | 9 | 45:28 | 39 |
| რასინგი | 27 | 9 | 11 | 7 | 31:28 | 38 |
| ვალენსია | 27 | 10 | 6 | 11 | 36:35 | 36 |
| სელტა | 27 | 8 | 9 | 10 | 31:34 | 33 |
| ოვიედო | 27 | 8 | 8 | 11 | 34:40 | 32 |
| კომპოსტელა | 27 | 8 | 7 | 12 | 28:46 | 31 |
| სპორტინგი | 26 | 7 | 8 | 11 | 26:39 | 29 |
| სარაგოსა | 27 | 6 | 10 | 11 | 33:44 | 28 |
| ლოგრონიესი | 27 | 8 | 4 | 15 | 24:53 | 28 |
| რაიო | 26 | 7 | 6 | 13 | 26:38 | 27 |
| ესპანიოლი | 26 | 7 | 5 | 14 | 29:40 | 26 |
| ესტრემადურა | 27 | 6 | 8 | 13 | 21:40 | 26 |
| სევილია | 26 | 6 | 3 | 17 | 23:43 | 21 |
| ერკულესი | 27 | 5 | 4 | 18 | 23:53 | 19 |

#### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდო (ბარსელონა) | 21 |
| შუკერი (რეალი) | 19 |
| სიგანდა (ბილბაო) | 13 |
| ოლი (ოვიედო) | 13 |
| ალფონსო (ბეტისი) | 13 |
| რივალდო (დეპორტივო) | 13 |
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 12 |
| რაული (რეალი) | 12 |
| მიატოვიჩი (რეალი) | 12 |
| გერერო (ბილბაო) | 11 |
| ესნაიდერი (ატლეტიკო) | 11 |
| ოჰენი (კომპოსტელა) | 11 |
| ვიქტორი (ვალიადოლიდი) | 11 |
| მარტინსი (დეპორტივო) | 11 |

## იტალია

### XXII ტური

**იუვენტუსი 2:0 ვიჩენცა**

1:0 დი ლივიო (23), 2:0 პადოვანო (64პ)

**ლაციო 1:0 ფიორენტინა**

1:0 ნერო (90)

**პიაჩენცა 0:3 ინტერი**

0:1 ინსი (39), 0:2 ინსი (45), 0:3 განცი (53)

**სამპდორია 1:2 ბოლონია**

1:0 მონტელა (22), 1:1 კოლივანოვი (49), 1:2 კოლივანოვი (91)

**პარმა 3:2 კალიარი**

1:0 ტურამი (16), 2:0 კრესპო (45), 3:0 კრესპო (50), 3:1 ტოვალიერი (73), 3:2 ტოვალიერი (89)

**უდინეზე 2:2 ნაპოლი**

1:0 პოჯი (9), 1:1 პეკია (26), 1:2 ბელვეგი (47 საკ. კარში), 2:2 პოჯი (77)

**ატალანტა 2:2 პერუჯა**

1:0 სგრო (75), 1:1 ჯუნტი (83პ), ნერი (86), ლენტინი (88)

**ვერონა 2:4 რეჯანა**

0:1 ხიმუტენკოვი (10), 1:1 მანიერო (27), 1:2 ბარონი (49 საკ.კარში), 1:3 გროსი (54), 2:3 მანიერო (72), 2:4 ხიმუტენკოვი (79)

**მილანი 1:1 რომა**

1:0 ვერხოვოდი (65), 2:0 ფონსეკა (75)

წლეულს „იუვენტუსი" 100 წლის ხდება. წლეულს „იუვენტუსი" იტალიის ჩემპიონის 24-ე ტიტულისკენ მიიწევს. კვირას „იუვენტუსმა" ქვეყნის თასის ფინალისტი და ნოემბერ-დეკემბრის მონაკვეთში პირველობის ლიდერი „ვიჩენცა" დაამარცხა. ამ შეხვედრაში „იუვენტუსს" ხუთი წამყვანი მოთამაშე აკლდა.

ანგარიში ანჯელო დი ლივიომ გახსნა. „ბებერი ქალბატონისა" და „სკუადრა აძურას" ნახევარმცველს მეტოქეების კარის ბადის შეწუხება არ სჩვევია, ბოლოს 1994-95 წლების სეზონში გაიტანა, მაგრამ ახლა ატილიო ლომბარდოს ჩაწოდებულს, მიკელე პადოვანოსა ან კრისტიან ვიერისთვის რომ იყო განკუთვნილი, მარჯვედ დაჰკრა და ლუკა მონდინის კარში შეაგდო. მეორე გოლი კი პადოვანოს შესრულებული პენალტით გავიდა. პადოვანო იმ დღეს დელ პიეროსა და ბოკშიჩის გარეშე იყო, ვიერისთან შეწყვილებული და სწორედ „ვიჩენცას" კაპიტნის ჯოვანი ლოპესის მიერ ვიერის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანით შეაგდო.

— ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ — თქვა „იუვეს" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ — მე კმაყოფილი ვარ ჩემი ფეხბურთელების განწყობითაც და თამაშითაც. თითოეული მათგანი მზად იყო თავისი ამოცანა გადაეწყვიტა. ყველამ აჩვენა, რომ საკუთარი თავისა სწამს. მათაც კი, ძირითად შემადგენლობაში შედარებით იშვიათად რომ ხვდებიან, ჭოჭმანი ვერ შევატყვე.

მწვრთნელს სხვა მხრიდან მოუარეს: დელ პიეროს, ზიდანის და სხვათა გარეშე იმპროვიზაცია ხომ არ გაკლდათო.

— ამის თქმა სასაცილოა. მხოლოდ იმპროვიზაციით შორს ვერ წავალთ. დღეს მოთამაშეებმა მრავალნაირი ხერხი იხმარეს და მათ შორის იმპროვიზაციაც იყო — უპასუხა ლიპიმ.

მეტოქის თავკაცმა ფრანჩესკო გუიდოლინმა ყურადღება არ გაამახვილა მათ კარში დანიშნულ პენალტზე. საქმე ისაა, რომ იმ პენალტის დანიშვნამდე, ანუ ვიერის წაქცევამდე, მრავლის ეჭვით ოფსაიდი იყო, თუმცა „ვიჩენცას" მწვრთნელმა სხვა რამ იდარდა:

— ჩემი გუნდის ფიზიკური მომზადებით სულაც არ ვარ უკმაყოფილო, მაგრამ სტუმრად თამაშის გაუმჯობესება უთუოდ გვმართებს — თქვა მან.

ცნობისთვის: ეს ამ გუნდებს შორის ტურინში გამართული 27-ე მატჩი იყო, რომელთაგან 20 „იუვენტუსმა" მოიგო.

„მილანის" მეპატრონე სილვიო ბერლუსკონი კი გაისად ევროთასზე გასვლის იმედს არ ჰკარგავს. „უეფაზე გამსვლელი ადგილის მიღწევა ჯერ კიდევ შეგვიძლიაო, თქვა მან „სან სიროზე" „რომასთან" ფრედ დასრულებული შეხვედრის მერე. იმ შეხვედრაში „მილანმა" ანგარიში ვეტერანი პიეტრო ვერხოვოდის თავურით გახსნა, მაგრამ თამაშის ბოლო მონაკვეთში ურუგვაელი დანიელ ფონსეკას დარტყმული გაუშვა. მისი ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დევიდსი კი ამასობაში ქალაქ ტერნის საავადმყოფოდან გამოწერეს. მოგეხსენებათ, წინა ტურში „პერუჯასთან" შეხვედრაში დევიდსმა მეკარესთან შეჯახების შედეგად ორ ადგილას მოიტეხა მარჯვენა ფეხის ძვალი. ქირურგის, ჯულიანო ჩერულის თქმით, ჰოლანდიელი მოედანს ნახევარ წელიწადში დაუბრუნდება. რაც შეეხება კლუბის ბოლო შენაძენს, შვედ იესპერ ბლომკვისტს, „ბოლონიასთან" მატჩში გაძევების გამო სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია რომ მიუსაჯეს, აპელაციის შედეგად ორი თამაშის გამოტოვების შემდეგ შეწყალებულია.

ტურის მთავარი სენსაცია გენუაში მოხდა, სადაც „სამპდორია" „ბოლონიას" მასპინძლობდა. ანგარიში ვინჩენცო მონტელამ გახსნა. ეს მისი მე-14 გოლი იყო სეზონში, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში რუსმა იგორ კოლივანოვმა 30 მეტრიდან შესრულებული ჯარიმით გაქვითა, თამაშის უკანასკნელ წუთზე კი „ლუიჯი ფერარისის" სტადიონზე შეკრებილი 28 ათასი ქომაგი მარცხენა ფეხით დაადუმა. „სამპდორიას" შინ „ბოლონიასთან" 1977 წლის შემდეგ არ წაეგო. „შინ ზედიზედ მეორე თამაშს რომ წააგებ, ესე იგი რაღაცაშია საქმე" — თქვა გენუელთა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა, რომელიც ახალი სეზონიდან გუნდს დასტოვებს: „დღეს მხოლოდ 45 წუთი ვითამაშეთ კარგად. ახლა ერთი კვირის მანძილზე სერიოზული მუშაობა მოგვიწევს."

ეს ტური კიდევ იმით იყო აღსანიშნავი, რომ სტადიონებზე ფარული კამერები და კარაბინერთა გაძლიერებული რაზმები გამოჩნდა. ერთი კვირის წინ გულშემატკივართა შორის ატეხილმა ჩხუბებმა ქვეყნის მთავრობა დიდად შეაწუხა და სპორტის ხელმძღვანელებთან რომში გამართული თათბირის შემდეგ დამატებითი ღონისძიებები ჩაატარა. ახალი ჩხუბები არ ყოფილა.



იუვენტუსი — ვიჩენცა. მასპინძლები მიკელე პადოვანოს გოლით ხარობენ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 22 | 12 | 8 | 2 | 31:15 | 44 |
| ინტერი | 22 | 9 | 10 | 3 | 33:23 | 37 |
| პარმა | 22 | 10 | 7 | 5 | 24:21 | 37 |
| სამპდორია | 22 | 10 | 6 | 6 | 43:30 | 36 |
| ბოლონია | 22 | 10 | 5 | 7 | 34:26 | 35 |
| რომა | 22 | 8 | 8 | 6 | 33:27 | 32 |
| ატალანტა | 22 | 8 | 8 | 6 | 29:27 | 32 |
| ვიჩენცა | 22 | 8 | 7 | 7 | 32:28 | 31 |
| ლაციო | 22 | 8 | 6 | 8 | 25:24 | 30 |
| ნაპოლი | 22 | 7 | 9 | 6 | 27:30 | 30 |
| მილანი | 22 | 8 | 5 | 9 | 30:28 | 29 |
| ფიორენტინა | 22 | 6 | 10 | 6 | 29:24 | 28 |
| უდინეზე | 22 | 7 | 7 | 8 | 30:31 | 28 |
| პიაჩენცა | 22 | 5 | 9 | 8 | 18:28 | 24 |
| პერუჯა | 22 | 6 | 5 | 11 | 27:40 | 23 |
| კალიარი | 22 | 4 | 7 | 11 | 25:38 | 19 |
| ვერონა | 22 | 4 | 5 | 13 | 27:46 | 17 |
| რეჯანა | 22 | 2 | 10 | 10 | 22:36 | 16 |

#### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ინძაგი (ატალანტა) | 16 |
| ბალბო (რომა) | 14 |
| მონტელა (სამპდორია) | 14 |
| მანჩინი (სამპდორია) | 13 |
| ოტერო (ვიჩენცა) | 12 |
| ჯორკაეფი (ინტერი) | 11 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 10 |
| სინიორი (ლაციო) | 10 |
| ვეა (მილანი) | 9 |
| კიეზა (პარმა) | 9 |
| ტოვალიერი (კალიარი) | 9 |
| პოჯი (უდინეზე) | 9 |
| ლუიზო (პიაჩენცა) | 8 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 8 |
| პადოვანო (იუვენტუსი) | 8 |
| კოლივანოვი (ბოლონია) | 8 |

#### სერია B

24-ე ტური. პალერმო — პადოვა 1:3, ბარი — ჯენოა 1:1, დი სანგრო — კიევო 0:0, ჩეზენა — ბრეშია 1:3, კოზენცა — ტორინო 1:2, კრემონეზე — სალერნიტანა 0:0, ემპოლი — ლეჩე 1:1, ფოჯა — პესკარა 0:0, ლუკეზე — რავენა 0:0, ვენეცია — რეჯინა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშია | 24 | 12 | 7 | 5 | 33:22 | 43 |
| ლეჩე | 24 | 11 | 9 | 4 | 37:28 | 42 |
| პესკარა | 24 | 11 | 8 | 5 | 33:20 | 41 |
| ტორინო | 24 | 11 | 7 | 6 | 34:25 | 40 |
| ჯენოა | 24 | 8 | 12 | 4 | 33:17 | 36 |
| ბარი | 24 | 7 | 14 | 3 | 31:21 | 35 |
| რავენა | 24 | 10 | 8 | 6 | 31:24 | 35 |
| ემპოლი | 24 | 9 | 8 | 7 | 26:27 | 35 |
| კიევო | 24 | 7 | 12 | 5 | 26:24 | 33 |
| ფოჯა | 24 | 8 | 9 | 7 | 24:25 | 33 |
| პადოვა | 24 | 6 | 11 | 7 | 26:29 | 29 |
| ვენეცია | 24 | 6 | 10 | 8 | 28:27 | 28 |
| სალერნიტანა | 24 | 6 | 9 | 9 | 13:23 | 27 |
| დი სანგრო | 24 | 7 | 5 | 12 | 15:28 | 26 |
| ლუკეზე | 24 | 5 | 10 | 9 | 16:23 | 25 |
| პალერმო | 24 | 4 | 12 | 8 | 25:32 | 24 |
| რეჯინა | 24 | 5 | 9 | 10 | 22:30 | 24 |
| კოზენცა | 24 | 5 | 8 | 11 | 25:33 | 23 |
| კრემონეზე | 24 | 5 | 8 | 11 | 14:27 | 23 |
| ჩეზენა | 24 | 4 | 10 | 10 | 20:27 | 22 |

## პორტუგალია

22-ე ტური. სეტუბალი — ჟილ ვისენტე 1:0, ლეირია — ბრაგა 1:2, სალგეირუში — გიმარაეში 0:0, ბოავიშტა — მარიტიმუ 3:1, ესპინიუ — რიუ ავე 1:2, ფარენსე — ბელენენსეში 0:2, სპორტინგი — ლეცა 1:0, შავეში — ბენფიკა 3:1, ამადორა — პორტუ 2:2. 21-ე ტურის გვიანი თამაში. მარიტიმუ — სპორტინგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 18 | 3 | 1 | 53:14 | 57 |
| სპორტინგი | 22 | 14 | 5 | 3 | 34:11 | 47 |
| ბენფიკა | 22 | 13 | 4 | 5 | 37:15 | 43 |
| ბრაგა | 22 | 10 | 7 | 5 | 29:31 | 37 |
| გიმარაეში | 22 | 10 | 5 | 7 | 35:27 | 35 |
| ამადორა | 22 | 8 | 8 | 6 | 26:22 | 32 |
| შავეში | 22 | 8 | 6 | 8 | 28:34 | 30 |
| სალგეირუში | 22 | 7 | 8 | 7 | 27:31 | 29 |
| ესპინიუ | 22 | 8 | 4 | 10 | 21:30 | 28 |
| სეტუბალი | 22 | 7 | 7 | 8 | 25:29 | 28 |
| ბელენენსეში | 22 | 7 | 7 | 8 | 28:35 | 28 |
| ფარენსე | 22 | 6 | 8 | 8 | 19:22 | 26 |
| ბოავიშტა | 22 | 5 | 11 | 6 | 29:27 | 26 |
| ლეცა | 22 | 6 | 6 | 10 | 24:28 | 24 |
| მარიტიმუ | 22 | 6 | 6 | 10 | 25:34 | 24 |
| რიუ ავე | 22 | 4 | 5 | 13 | 22:34 | 17 |
| ლეირია | 22 | 4 | 4 | 14 | 16:35 | 16 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 2 | 6 | 14 | 19:38 | 12 |

## ბელგია

25-ე ტური. ანდერლეხტი — ჰარელბეკე 3:2, მეხელენი — სტანდარდი 3:0, შარლერუა — მოლენბეკი 1:1, სერკლ ბრიუგე — გენტი 1:0, ლომელი — სენტ-ტრიუდენი 2:1, აალსტი — გენკი 1:3, ეკერენი — ბრიუგე 0:0, ლოკერენი — ანტვერპენი 0:2, მუსკრონი — ლიერსი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუსკრონი | 25 | 14 | 9 | 2 | 47:23 | 51 |
| ბრიუგე | 25 | 15 | 5 | 5 | 53:29 | 50 |
| ლიერსი | 25 | 13 | 10 | 2 | 45:27 | 49 |
| ანდერლეხტი | 25 | 12 | 9 | 4 | 42:21 | 45 |
| ანტვერპენი | 25 | 13 | 3 | 9 | 40:35 | 42 |
| ჰარელბეკე | 25 | 11 | 6 | 8 | 40:29 | 39 |
| ლომელი | 25 | 11 | 6 | 8 | 37:38 | 39 |
| სტანდარდი | 25 | 12 | 2 | 11 | 41:39 | 38 |
| გენკი | 25 | 8 | 8 | 9 | 31:31 | 32 |
| მეხელენი | 25 | 7 | 8 | 10 | 28:36 | 29 |
| გენტი | 25 | 8 | 4 | 13 | 35:46 | 28 |
| ეკერენი | 25 | 7 | 6 | 12 | 31:38 | 27 |
| მოლენბეკი | 25 | 7 | 6 | 12 | 24:32 | 27 |
| შარლერუა | 25 | 7 | 6 | 12 | 29:38 | 27 |
| სტ. ტრიუდენი | 25 | 7 | 6 | 12 | 34:45 | 27 |
| ლოკერენი | 25 | 7 | 6 | 12 | 34:47 | 27 |
| აალსტი | 25 | 4 | 9 | 12 | 28:43 | 21 |
| სერკლ ბრიუგე | 25 | 4 | 7 | 14 | 27:49 | 19 |

## საბერძნეთი

23-ე ტური. ოფი — კასტორია 1:0, ირაკლისი — კავალა 2:3, ვერია — ედესაიკოსი 0:0, პაოკი — პანახაიკი 2:0, აპოლონი — აეკი 1:2, ოლიმპიაკოსი — ათინაიკოსი 4:0, პანათინაიკოსი — არისი 1:0, კალამატა — ქსანტი 2:2, პანილიაკოსი — იონიკოსი წუხელ გაიმართა.
22-ე ტურის გვიანი თამაში. ათინაიკოსი — პაოკი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 23 | 17 | 4 | 2 | 40:10 | 55 |
| პანათინაიკოსი | 23 | 16 | 3 | 4 | 42:11 | 51 |
| აეკი | 23 | 15 | 4 | 4 | 51:20 | 49 |
| ოფი | 23 | 13 | 4 | 6 | 33:19 | 43 |
| კავალა | 23 | 12 | 4 | 7 | 29:21 | 40 |
| პაოკი | 23 | 10 | 8 | 5 | 26:21 | 38 |
| პანილიაკოსი | 22 | 10 | 4 | 8 | 29:25 | 34 |
| ვერია | 23 | 9 | 6 | 8 | 24:17 | 33 |
| პანახაიკი | 23 | 7 | 8 | 8 | 21:25 | 29 |
| იონიკოსი | 22 | 8 | 4 | 10 | 22:26 | 28 |
| ირაკლისი | 23 | 7 | 5 | 11 | 28:39 | 26 |
| კალამატა | 23 | 6 | 8 | 9 | 27:41 | 26 |
| აპოლონი | 23 | 7 | 4 | 12 | 25:32 | 25 |
| ედესაიკოსი | 23 | 6 | 5 | 12 | 26:35 | 23 |
| ქსანტი | 23 | 5 | 7 | 11 | 31:39 | 22 |
| ათინაიკოსი | 23 | 6 | 4 | 13 | 22:42 | 22 |
| არისი | 23 | 4 | 9 | 10 | 17:33 | 18 |
| კასტორია | 23 | 1 | 3 | 19 | 11:48 | 6 |

## ჰოლანდია

23-ე ტური. ტვენტე — ვიტესი 1:0, გრონინგენი — ვოლენდამი 1:1, აზ 67 — ბრედა 0:1, გრააფსხაპი — უტრეხტი 1:2, ვალვაიკი — ეინდჰოვენი 1:4, სიტარდი — ტილბურგი 2:0, ჰერენვენი — როდა 3:1, ფეიენოორდი — ნაიმეგენი 2:0, სპარტა — აიაქსი გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 23 | 17 | 3 | 3 | 66:17 | 54 |
| ფეიენოორდი | 23 | 16 | 3 | 4 | 40:24 | 51 |
| ტვენტე | 23 | 15 | 4 | 4 | 37:17 | 49 |
| ვიტესი | 23 | 11 | 6 | 6 | 39:25 | 39 |
| აიაქსი | 22 | 9 | 9 | 4 | 29:19 | 36 |
| როდა | 23 | 10 | 6 | 7 | 31:30 | 36 |
| ჰერენვენი | 23 | 8 | 10 | 5 | 38:31 | 34 |
| გრააფსხაპი | 23 | 10 | 3 | 10 | 35:34 | 33 |
| ბრედა | 23 | 9 | 5 | 9 | 29:35 | 32 |
| ვოლენდამი | 23 | 6 | 8 | 9 | 24:33 | 26 |
| უტრეხტი | 23 | 5 | 10 | 8 | 28:32 | 25 |
| ტილბურგი | 23 | 7 | 4 | 12 | 26:37 | 25 |
| სიტარდი | 23 | 5 | 10 | 8 | 21:34 | 25 |
| სპარტა | 22 | 7 | 3 | 12 | 25:31 | 24 |
| გრონინგენი | 23 | 4 | 8 | 11 | 25:45 | 20 |
| აზ 67 | 23 | 5 | 4 | 14 | 18:28 | 19 |
| ვალვაიკი | 23 | 4 | 7 | 12 | 23:39 | 19 |
| ნაიმეგენი | 23 | 3 | 7 | 13 | 22:45 | 16 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტენერიფე — ბრონდბიუ | (1,4-2,6) | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| შალკე — ვალენსია | (1,9-1,7) | 1,8 | 2,9 | 3,8 |
| ნიუკასლი — მონაკო | (1,6-2,0) | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| ანდერლეხტი — ინტერი | (5,0-1,15) | 3,6 | 3,0 | 1,8 |

### ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აიაქსი — ატლეტიკო | (1,8-1,8) | 1,9 | 2,7 | 3,6 |
| რუსენბორგი — იუვენტუსი | (15,0-—) | 6,5 | 3,4 | 1,4 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — პორტუ | (1,7-1,9) | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| დორტმუნდი — ოსერი | (1,4-2,6) | 1,5 | 3,1 | 6,0 |

### თასების თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

6 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარსელონა — აიკი | (—-15,0) | 1,1 | 5,3 | 14,0 |
| 0:1 | | 1,3 | 3,4 | 5,0 |
| პარი სენ ჟერმენი — აეკი | (1,45-2,4) | 1,5 | 3,1 | 6,0 |
| ბენფიკა — ფიორენტინა | (3,0-1,3) | 2,5 | 2,6 | 2,6 |
| ბრანი — ლივერპული | (15,0-—) | 6,5 | 3,4 | 1,4 |

### კოეფიციენტები ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებაზე

| გერმანია | | თურქეთი | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1,2 | გალათასარაი | 1,4 |
| დორტმუნდი | 3,0 | ფენერბაჩე | 2,0 |
| ლევერკუზენი | 6,0 | ბეშიქთაში | 3,0 |
| შტუტგარტი | 8,0 | ტრაბზონსფორი | 4,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |

| ინგლისი | | იტალია | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნაიტედი | 1,4 | იუვენტუსი | — |
| ლივერპული | 2,0 | ინტერი | 5,0 |
| ნიუკასლი | 3,0 | სამპდორია | 6,0 |
| არსენალი | 5,0 | დანარჩენი | 10,0 |
| დანარჩენი | 10,0 | | |

| საფრანგეთი | | ჰოლანდია | |
|---|---|---|---|
| | | ეინდჰოვენი | 1,2 |
| მონაკო | 1,2 | ფეიენოორდი | 3,0 |
| პარი სენ ჟერმენი | 3,0 | აიაქსი | 7,0 |
| ბორდო | 7,0 | დანარჩენი | 10,0 |
| ნანტი | 7,0 | | |
| დანარჩენი | 10,0 | | |

| ესპანეთი | | ბელგია | |
|---|---|---|---|
| | | ბრიუგე | 1,3 |
| | | მუსკრონი | 2,0 |
| რეალი | 1,2 | ანდერლეხტი | 4,0 |
| ბარსელონა | 3,0 | ლიერსი | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |

| პორტუგალია | | ავსტრია | |
|---|---|---|---|
| პორტუ | — | რაპიდი | 1,2 |
| ბენფიკა | 9,0 | ზალცბურგი | 3,0 |
| სპორტინგი | 9,0 | ტიროლი | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 | აუსტრია | 8,0 |
| | | დანარჩენი | 10,0 |

| შვეიცარია | | შოტლანდია | |
|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 1,7 | | |
| გრასჰოპერი | 2,0 | რეინჯერსი | 1,1 |
| სიონი | 7,0 | სელტიკი | 4,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |

### კოეფიციენტები ევროპის საკლუბო ტურნირებში გამარჯვებაზე

UEFA CHAMPIONS LEAGUE | UEFA Cup Winners' Cup | UEFA UEFA CUP

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2,0 | ბარსელონა | 2,2 | ინტერი | 2,0 |
| მანჩესტერი | 4,0 | ლივერპული | 2,2 | ნიუკასლი | 2,2 |
| დორტმუნდი | 4,0 | ფიორენტინა | 3,0 | ვალენსია | 5,0 |
| აიაქსი | 5,0 | პარი სენ ჟერმენი | 5,0 | მონაკო | 5,0 |
| პორტუ | 5,0 | ბენფიკა | 6,0 | ტენერიფე | 6,0 |
| ატლეტიკო | 6,0 | აეკი | 10,0 | შალკე | 6,0 |
| ოსერი | 10,0 | აიკი | 40,0 | ანდერლეხტი | 8,0 |
| რუსენბორგი | 50,0 | ბრანი | 40,0 | ბრონდბიუ | 12,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „იევერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.



## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიელი რომარიო პოლონეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში გამოჩნდა და ქომაგები ერთობ გაახარა. ამას მალევე დაემატა მისი ორი გოლი, რიო დე ჟანეიროს პირველობაზე „ბარეირას“ კარში. ეს მატჩი რომარიოს „ფლამენგომ“ 5:0 მოიგო. ახლა ყოფილ ბარსელონელსა და მსოფლიოს ჩემპიონს ხუთ შინაურ შეხვედრაში შვიდი გოლი აქვს გატანილი.**

მექსიკამ მსოფლიოს პირველობის შესარჩევ შეხვედრაში კანადას 4:0 მოუგო. ოთხივე გოლი მეორე ტაიმმა ჩაიტია. „აცტეკას“ სტადიონზე შეკრებილ 112 ათას ქომაგს 50-ე წუთამდე მოცდა მოუხდა, სანამ ლუის ერნანდესის გოლს იხილავდა. რვა წუთის შემდეგ ბენხამენ გალინდომ პენალტით 2:0 გახადა. თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ერმოსილომ სხარტი დარტყმით ერთი გოლიც დაამატა. ცოტა ხანში კი ზაგედ ცნობილმა ლუის რობერტო ალვესმა წერტილი დასვა. მომდევნო შეხვედრა მექსიკას კოსტა რიკასთან 16 მარტს ელის. კვირასვე იამაიკაზე აშშ-მ არც გაიტანა, არც გაუშვა. 16 მარტს აშშ-ს კანადა ელის.

**საფრანგეთის თასის მერვედფინალში „ლილმა“ შინ 0:3 წააგო „მონპელიესთან“. თასის ხუთგზის მფლობელის კარში პირველი გოლი მერვე წუთზე იბრაჰიმ ბაკაიოკომ პენალტით შეაგდო, ტაიმის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე კრისტოფ სანჩესმა მეორედ გაახარა ქომაგები, 66-ე წუთზე კი ფაბიენ ლეფევრმა მესამედ ამარჯვა გუნდი. ლეფევრის გოლამდე სულ ცოტა ხნით ადრე კი „ლილს“ პასკალ სიგანი გაუგდეს. გასული გათამაშების გამარჯვებული და საფრანგეთის ჩემპიონი „ოსერი“ მეორე დივიზიონელმა „ტროიმ“ გამოთიშა (0:1), „პარი სენ ჟერმენი“ კი მეოთხე ლიგის „კლერმონმა“ გააგდო. პარიზელები 22-ე წუთისთვის 4:1-ს იგებდნენ, საბოლოოდ კი საქმე პენალტებამდე მიიყვანეს, იქ კი მარცხი იწვნიეს. სენ ჟერმენელთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა რიკარდომ, რომელიც გადადგომას არ ფიქრობს, ხელები გაასავსავა, არ ვიცი რა ვთქვა, პირველად ცხოვრებაში კომენტირებას ვერ ვახერხებო. იმარჯვა მესამე დივიზიონის „კრეტილმაც“, რომელმაც უძლიერესთა ჯგუფის „სტრასბურს“ 1:0 მოუგო. „ბორდომ“ „კანს“ 1:0 აჯობა. სხვა მეოთხედფინალისტები არიან „გინგამი“, რომელმაც „კაენი“ ჩამოიცილა 1:0 და „ნიცა“, „ჟუნიონთან“ 2:0 მოგების შედეგად.**

იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი „მილანში“ ფაბიო კაპელოს დაბრუნებაზე ალაპარაკდა. იმავდროულად ბერლუსკონი ამხნევებს გუნდის ახლანდელ მწვრთნელს, მრავალტანჯულ არიგო საკის და აცხადებს, რომ მის ერთი ხელის დაკვრით თავიდან მოცილებას სულაც არ აპირებს. კლუბის მეპატრონემ პრესას განუცხადა, რომ



კაპელო ყველგან კარგ ხასიათზეა: მეუღლე ლაურასთან ერთად

საკი დიდი მწვრთნელი და დიდი პიროვნებაა, რომელიც უმძიმეს დროებას ვაჟკაცურად უძლებს, მაგრამ მას გუნდში ცუდი მდგომარეობა დახვდა, რომლის გამოსწორება იოლი საქმე სულაც არაა. ბერლუსკონის თქმით, მომავალი სეზონიდან „მილანის“ თავდასხმაში ჟორჟ ვეა და პატრიკ კლუივერტი იბრწყინებენ, გარდა ამისა გუნდს გერმანელი კრისტიან ციგეც შეემატება. ფაბიო კაპელოს ყოველივე ამის თაობაზე არაფერი უთქვამს, იგი თავისი საქმით, მადრიდის „რეალის“ გაძღოლითაა დაკავებული. მომავალი სეზონიდან კაპელოს ხელში ჩასავდებად „ინტერი“ და „ლაციოც“ ილესავენ კბილებს, მაგრამ ფაქტია — კაპელოს და „მილანის“ ურთიერთობა სხვაა. ასეა თუ ისე, ბერლუსკონის აზრით, გამორიცხული არაფერია, გარდა ერთისა: კაპელო „ინტერში“ არასდროს გადავა.

**მოზამბიკელმა თავდამსხმელმა ადელინომ ნაკრებში დაბრუნება ჰეთ-თრიკით აღნიშნა. ახალდაარსებულ „კოსაფა კესტლის“ თასზე მისმა ნაკრებმა სვაზილენდს 4:0 მოუგო. კოსაფა სამხრეთ აფრიკული ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციათა კონფედერაციას ნიშნავს, 28 წლის ადელინომ კი რვაწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ მოირგო ეროვნული გუნდის მაისური და ექვს წუთში ორი ბურთი შეაგდო (36, 42), მესამე კი 70-ზე დაამატა. მეოთხე გოლი შეცვლაზე შესულმა ეურიკომ გაიტანა. მალავიმ ბოსტვანას 4:1 აჯობა.**

ჩინეთმა დანჰილის თასის ფინალში ბოსნიას 3:0 მოუგო და ეს წარმატება დენ სიაოპინის ხსოვნას უძღვნა. „ის ფეხბურთის დიდი ქომაგი იყო“ — განაცხადა ჩინელთა მწვრთნელმა ლი ჩუანგიმ. ბოსნიელებს დისკვალიფიკაციის გამო აკლდნენ სანინ პონტული და ალმირ ტურკოვიჩი. საუცხოოდ ითამაშა წაგებულთა მეკარემ დიდი მირშმა.

**სამხრეთმა კორეამ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ტაილანდს 3:1 მოუგო. პირველ ტაიმში კორეელები 1:0-ს იგებდნენ, შემდეგ ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ კორეელებმა ისევ იძალეს და მოიგეს. ტაილანდი ახლა ჰონკონგს შეხვდება, გუნდს, რომელმაც სამხრეთ კორეასთან 0:2 წააგო.**

საფრანგეთში „ლანსის“ სტადიონი „ბოლარე“, რომელსაც 1998 წლის მსოფლიოს პირველობისთვის არემონტებენ, შესაძლოა 10 ივნისს დაგეგმილი ბრაზილია — ინგლისის შეხვედრისთვის მზად არ იყოს. მოგეხსენებათ, ივნისის დასაწყისში საფრანგეთში დიდი ოთხთა ტურნირია დაგეგმილი მასპინძლების, იტალიელების და ზემოხსენებული ორი გუნდის მონაწილეობით და თუ „ბოლარემ“ თამაშს ვერ უმასპინძლა, იგი „პარკ დე პრენსზე“ ან ნანტში შედგება. საქმე ისაა, რომ „ბოლარეს“ რეკონსტრუქცია გეგმას ისედაც 40 დღით ჩამორჩებოდა, რასაც ზედ ისიც დაერთო, რომ არქიტექტორი და კიდევ ერთი ოფიციალური პირი იანვარში დააპატიმრეს — ფულის გაფლანგვას აბრალებენ. ამჟამად სტადიონი ერთი თამაშითაა დისკვალიფიცირებული, რადგან საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში მავანმა გულშემატკივარმა თანამსაჯს ტრიბუნიდან წყლის ბოთლი გაარტყა თავში.

**ინგლისში კევინ კიგანის ფეხბურთში დაბრუნებაზე ალაპარაკდნენ, თუმცა თავად კიგანმა, რომელიც ცოტა ხნის წინ „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელის თანამდებობიდან წავიდა, იუარა. იგი ამჟამად კომენტატორად მუშაობს ტელეკომპანია ITV-ში და აცხადებს, რომ უფეხბურთოდ ცხოვრება საკმაოდ მოსწონს. კიგანის თქმით, დილით გაღვიძება, როდესაც საფეხბურთო კლუბში არ მიიჩქარი, დიდი სიამოვნებაა, თუმცა, დასძინა კიგანმა, კატეგორიულად ვერაფერს ვიტყვი, იქნებ ოდესმე დავბრუნდე კიდეცო.**

ინგლისშივე სტივ კოპელი „კრისტალ პალასს“ დაუბრუნდა. მოგეხსენებათ, იგი მიმდინარე სეზონში 33 დღით „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი იყო და გუნდი სრულიად მოულოდნელად მიატოვა. მისი თქმით, „სიტის“ თავკაცობისას უეცარმა შიშმა დარია ხელი, შიშმა იმისამ, რასაც ეს თანამდებობა ითხოვდა მისგან. „მე „სიტიში“ დეივ ბეზეტი შევცვალე, რომელიც „ნოტინგემ ფორესტში“ გადავიდა, სადაც ფრენკ კლარკი შეცვალა, რომელიც „სიტიში“ ჩემს ნაცვლად მივიდა — ეს ბერმუდის სამკუთხედს ჰგავს“ — განაცხადა კოპელმა.

**ჰოლანდიელი რინუს ისრაელი განის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. ისრაელის ფეხბურთელობისას ჰოლანდიის ნაკრებში 47 შეხვედრა აქვს ჩატარებული, 1970 წელს „ფეიენოორდში“ ჩემპიონთა თასს ფლობდა, შემდეგ კი თავისივე ქვეყნის 21 წლამდე ნაკრებს ედგა სათავეში. მისი კონტრაქტი აფრიკლებთან 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდეა.**

არგენტინულ კლუბებს, „ველეჟ სარსფილდს“ და „რასინგს“, კვირას ორ-ორი შეხვედრის ჩატარება მოუხდათ. პირველი ქვეყნის პირველობაზე ერთმანეთთან ჰქონდათ, მეორე კი ლიბერტადორესის თასზე ეკვადორის „ემელეკთან“ და „ნასიონალთან“. „ველეჟის“ მწვრთნელმა ოსვალდო პიაცამ უპირატესობა საერთაშორისო შეჯიბრებას მიანიჭა და ძირითადი შემადგენლობა ეკვადორს მიავლინა, სადაც მოიგო კიდეც — 3:2. სხვაგვარად განსაჯა „რასინგის“ თავკაცმა ალფიო ბასილემ. მან გაითვალისწინა, რომ კლუბს, რომელსაც ახლა უდგას სათავეში, 31 წელიწადია ქვეყნის პირველობა არ მოუპოვებია და ამიტომ ეკვადორში სათადარიგოები გაუშვა (0:2 დამარცხდა), „ველეჟს“ კი მთავარი გუნდი დაახვედრა და 2:1 სძლია. ამ დღეს სამხრეთ ამერიკაში ერთხელაც გაახსენდათ, რომ კალენდარს, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურად ადგენენ, მაგრამ თქმა ერთია, გამოსწორებას კი არავინ ცდილობს. მაგალითად, იმავე დღეს მექსიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევს ატარებდა, ქვეყნის პირველობაზე კი ამ თამაშის დამთავრებისთანავე ექვსი მატჩი დაიწყო. ბრაზილიაში ყველაზე უარესადაა საქმე. „კრუიზერომ“, ამ ერთი თვის წინ, ბელუ ორიზონტეში, თავის სტადიონზე, ერთ საღამოს ორი მატჩი ჩაატარა.

## ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ეტაპის წილისყრა

შაბათს ბარსელონაში გაიმართა კალათბურთში ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა. გუნდები ასე განაწილდნენ

| A ჯგუფი (ჟირონა) | C ჯგუფი (ბადალონა) |
|---|---|
| საბერძნეთი | იუგოსლავია |
| ბოსნია | ლატვია |
| რუსეთი | იტალია |
| თურქეთი | პოლონეთი |

| B ჯგუფი (ჟირონა) | D ჯგუფი (ბადალონა) |
|---|---|
| ლიტვა | ხორვატია |
| სლოვენია | უკრაინა |
| საფრანგეთი | ესპანეთი |
| ისრაელი | გერმანია |

ფინალური ეტაპი გაიმართება 25 ივნისიდან 6 ივლისამდე. თითო ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გადის სამი საუკეთესო. შემდეგ იქმნება ორი 6-გუნდიანი ჯგუფი, რომლებიდანაც ოთხ-ოთხი საუკეთესო მეოთხედფინალიდან ფლეი-ოფის სისტემით ითამაშებს.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

28 თებერვალი

კლიპერზი — ტორონტო 94:92, პორტლენდი — იუტა 115:105, ფილადელფია — ვანკუვერი 104:100, გოლდენ სტეიტი — ნიუ ჯერსი 117:108, ატლანტა — ლეიკერზი 86:75, ნიუ იორკი — დენვერი 112:108, ორლანდო — სან ანტონიო 94:73, ჩიკაგო — საკრამენტო 126:108, დეტროიტი — ბოსტონი 106:100, ინდიანა — მილუოკი 104:85

1 მარტი

კლივლენდი — ბოსტონი 99:81, ვაშინგტონი — გოლდენ სტეიტი 118:108, ჰიუსტონი — დალასი 89:80, საკრამენტო — მილუოკი 103:92

2 მარტი

ინდიანა — ლეიკერზი 101:85, იუტა — ვანკუვერი 93:86, მაიამი — სან ანტონიო 79:72, შარლოტი — მინესოტა 108:96, სიეტლი — ორლანდო 109:101, დეტროიტი — ატლანტა 82:75, ნიუ იორკი — კლივლენდი 90:82, ფინიქსი — დალასი 109:108, დენვერი — კლიპერზი 109:107, პორტლენდი — ფილადელფია 112:85

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 43 | 15 | 74,1 |
| ნიუ იორკი | 43 | 16 | 72,9 |
| ორლანდო | 30 | 26 | 53,6 |
| ვაშინგტონი | 26 | 31 | 45,6 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 39 | 30,4 |
| ფილადელფია | 15 | 42 | 26,3 |
| ბოსტონი | 11 | 46 | 19,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 50 | 7 | 87,7 |
| დეტროიტი | 43 | 14 | 75,4 |
| ატლანტა | 38 | 19 | 66,7 |
| შარლოტი | 37 | 22 | 62,7 |
| კლივლენდი | 32 | 25 | 56,1 |
| ინდიანა | 28 | 29 | 49,1 |
| მილუოკი | 25 | 32 | 43,9 |
| ტორონტო | 20 | 37 | 35,1 |

### დასავლეთის კონფერენცია

| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 41 | 16 | 71,9 |
| ჰიუსტონი | 38 | 20 | 65,5 |
| მინესოტა | 29 | 28 | 50,9 |
| დალასი | 19 | 37 | 33,9 |
| დენვერი | 18 | 41 | 30,5 |
| სან ანტონიო | 13 | 44 | 22,8 |
| ვანკუვერი | 11 | 50 | 18,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 41 | 16 | 71,9 |
| ლეიკერზი | 39 | 19 | 67,2 |
| პორტლენდი | 31 | 28 | 52,5 |
| კლიპერზი | 25 | 30 | 45,5 |
| საკრამენტო | 26 | 32 | 44,8 |
| ფინიქსი | 22 | 36 | 37,9 |
| გოლდენ სტეიტი | 21 | 35 | 37,5 |

## ბარკლი: 7-10 დღით

შაბათს „დალასთან" თამაშისას „ჰიუსტონის" ფორვარდმა ჩარლზ ბარკლიმ ბარძაყი დაიშავა. ეს პირველი მეოთხედის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მოხდა. ბარკლი დრიბლინგს აკეთებდა, როცა დალასელთა ცენტრმა შონ ბრედლიმ მუხლი მიარტყა. ბარკლის ბარძაყში სისხლჩაქცევა აღმოუჩინეს და კალათბურთელს 7-10 დღით აეკრძალა თამაში.

ბარკლი ყოჩაღადაა და იმედოვნებს, რომ ამ კვირის ბოლომდე მწყობრში იქნება: „ფეხის ამოძრავება ახლაც შემიძლია, თავად არ ველოდი ასე სწრაფ მომჯობინებას".

ბარკლი ამჟამად „ჰიუსტონის" მესამე დაშავებული მოთამაშეა. კლაიდ დრექსლერიც ბარძაყის ტრავმის გამო არ თამაშობს, ხოლო ბრენტ პრაისმა მარჯვენა მუხლში მყესები დაიწყვიტა.

## ვილკინსი: განუსაზღვრელი დროით

„სან ანტონიოსთვის" გრძელდება კოშმარული სეზონი. გარდა იმისა, რომ გუნდი ნბა-ში ბოლოდან მესამე ადგილზეა, მოთამაშეებიც ერთიმეორის მიყოლებით უშავდება. კვირას, „ორლანდოსთან" 73:94 მარცხისას, გუნდის ბომბარდირმა დომინიკ ვილკინსმა მარჯვენა ფეხის კუნთი დაიჭიმა და განუსაზღვრელი დროით გამოაკლდა კალათბურთს.

37 წლის ვილკინსი „სან ანტონიოს" ლიდერია — 46 მატჩში საშუალოდ 18,9 ქულა და 7,0 მოხსნა გააკეთა.




ორლანდო — სიეტლი: რონი საიკლი სიეტლელებმა შონ კემპმა, ლარი სტიუარტმა და სემ პერკინსმა ხაფანგში მოაქციეს

შაბათს „ჩიკაგო ბულზმა" ამ სეზონში 50-ე მატჩი მოიგო. გთავაზობთ იმ გუნდების სიას, ვინც ყველაზე სწრაფად მიაღწია ამ ზღვარს. ცხრილში მოცემულია სეზონი, იმ მომენტისათვის მოგება-წაგების რაოდენობა, 50-მოგებიანი ზღვარის მიღწევის თარიღი და სეზონის საბოლოო მაჩვენებელი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩიკაგო ბულზი | 1995-96 | 50-6 | 27.II.96 | 72-10 |
| ჩიკაგო ბულზი | 1996-97 | 50-7 | 28.II.97 | — |
| ფილადელფია-76 | 1982-83 | 50-7 | 1.III.83 | 65-17 |
| ფილადელფია-76 | 1966-67 | 50-8 | 7.II.67 | 68-13 |
| ლეიკერზი | 1971-72 | 50-8 | 13.II.72 | 69-13 |
| პორტლენდი | 1977-78 | 50-10 | 28.II.78 | 58-24 |



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

28 თებერვალი. ჰართფორდი — სან ხოსე 2:3, ოტავა — ბაილენდერზი 4:1, ვაშინგტონი — ანაჰაიმი 1:4, კალგარი — მონრეალი 3:2.

1 მარტი. ბოსტონი — ფილადელფია 5:5, ოტავა — ბუფალო 1:3, ნიუ ჯერზი — პიტსბურგი 6:3, ტამპა — ფლორიდა 2:0, ტორონტო — სან ხოსე 3:2, კალგარი — დალასი 4:1, დეტროიტი — რეინჯერზი 3:0, კოლორადო — ჩიკაგო 2:1, ედმონტონი — მონრეალი 4:5, ვანკუვერი — ლოს ანჯელესი 0:4.

2 მარტი. ჰართფორდი — ფილადელფია 2:5, ვაშინგტონი — აილენდერზი 0:2, დეტროიტი — ანაჰაიმი 1:1, ფინიქსი — ჩიკაგო 0:4.

გილმორის გადასვლამ ნიუ ჯერზი მრისხანე ძალად აქცია. მორიგ მატჩში „ეშმაკებმა" 6 შაიბა შეუგდეს პიტსბურგს. იმედი — გილმორის წყალობით კლუბი უფრო შედეგიანი გახდებაო, გამართლდა: ბოლო სამ თამაშში ნიუ ჯერზის საშუალო შედეგიანობამ 5 გოლს მიაღწია, როცა მანამდე 2,5 ძლივს იყო. ყველაფერი პირველივე პერიოდში გადაწყდა მასპინძლების სასარგებლოდ, რომელთაც მოპოვებული უპირატესობა არც მერე გაუშვეს ხელიდან. „პინგვინებმა" კი ბოლო 8 მატჩიდან 7 წააგეს და, როგორც ჩანს, სეზონის ბოლომდე იაგრის გარეშე მოუწევთ გამოსვლა, რადგან ჩეხ სუპერსნაიპერს ძველმა ტრავმებმა შეახსენა თავი.

წინა ტურში ნიუ ჯერზისთან ნაწნევმა მარცხმა არ გატეხა ბუფალო. იგი უპრობლემოდ გაუმკლავდა ოტავას, რომელიც საკმაოდ კარგად გამოიყურება, კლუბის ერთ-ერთმა ტექნიკურმა ფორვარდმა ოდეტმა კი მორიგი ორი შაიბა (სულ 23) მიითვალა. ყურადღების ღირსია, რომ ბუფალოს უპირველესმა ვარსკვლავმა — გოლკიპერმა ჰაშეკმა სეზონში 32-ე მატჩი მოიგო, რაც საუკეთესო შედეგია მეკარეთა შორის.

უჩვეულო სიტუაციაა რეინჯერზში. ესოდენ ვარსკვლავმრავალმა კლუბმა ბოლო 13 მატჩში ერთადერთხელ მოიგო. არც კლუბის მრისხანე წინა ხაზს გამოუჩენია თავი: ბოლო 7 მატჩში მხოლოდ 8 შაიბა შეაგდო. არადა, ცოტა ხნის წინ რეინჯერზი შედეგიანობით მეორე იყო ლიგაში. ამიტომაც არ არის გასაკვირი გუნდის ხელმძღვანელების აქტიურობა მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვის ბაზარზე. უნდა ითქვას, რომ რეინჯერზი, პიტსბურგის არ იყოს, ჩემპიონატის სტარტზე კრიზისში იყო, მაგრამ შემდგომ ორივე კლუბმა დააღწია თავი არასასურველ მდგომარეობას. საინტერესოა, რას მოახერხებენ ახლა.

ამათზე უკეთეს დღეში არც ვაშინგტონია, რომლის მთავარი საზრუნავი თავდასხმის გაძლიერებაა. უკვე მეოთხე თამაშია, არ ჩანს კლუბის მთავარი სნაიპერი ბონდრა, სხვები კი სასურველად ვერ გამოიყურებიან. ამიტომ დედაქალაქის გუნდი დიდადაა დაინტერესებული რუსი მოგილნის შეძენით. თუმცა, რეინჯერზისგან განსხვავებით, ვაშინგტონი ვერც ფლეი-ოფში ხვდება, რადგან მისი უშუალო კონკურენტები თანდათან ზრდიან ქულათა მარაგს. ეს მონრეალსა და ოტავაზეც ითქმის, რომელთაც ორ-ორი მატჩში თითო მოგება ჩაიწერეს. მონრეალის განთქმული გუნდი მეორე შეხვედრაშიც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ თუ ედმონტონში მიაღწია საწადელს, კალგარისთან არ გაუმართლა. აღსანიშნავია, რომ კალგარიში მონრეალი თავიდან დაწინაურდა რუჩინსკის შაიბის წყალობით, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი შაიბა გაუშვა, აქედან ერთი 12 მატჩში არგამორჩეულმა ფლერიმ შეაგდო. ბოლო წუთებზე ფინელმა კოივუმ თავისი პირველი გოლი (სულ 14) გაიტანა გამოჯანმრთელების შემდეგ, მაგრამ მეტისთვის სტუმრებს დრო აღარ ეყოთ.

ამის შემდეგ კალგარის დალასთან მოგება არ გასჭირვებია და პირველად სეზონში დივიზიონის მესამე ადგილზე აინაცვლა, კონფერენციაში კი მეექვსე ადგილს იყოფს ჩიკაგოსთან.

„ქორები" კი, თავის მხრივ, დაძაბულ ბრძოლაში ჯერ დამარცხდნენ ლიგის ერთპიროვნულ ლიდერ კოლორადოსთან, შემდეგ კი დამაჯერებლად სძლიეს მეზობელ ფინიქსს. ვეტერანმა სატერმა დუბლი გააკეთა. მთავარი ყურადღება კი მაინც რიცხვმრავლობაში „კოიოტების" უყურადღებო თამაშმა მიიქცია. მათ ხუთი შესაძლებლობა არ გამოიყენეს და ორი გოლიც გაუშვეს. თანაც რუსმა ჟამნოვმა ზედიზედ მესამე მატჩში გამოიჩინა თავი, ამონტემ კი თავისი 34-ე გოლი გაიტანა.

ჩიკაგოს და ფინიქსს ქულით ჩამორჩება ანაჰაიმი. „იხვებმა" უქმეებზე სამი ქულა აიღეს, გარდა ამისა, გმირულ ფრესაც მიაღწიეს ფორმაში შესულ დეტროიტთან, რაც უდაოდ მოგების ტოლფასი იყო. საინტერესოა, რომ წინა კვირას ანაჰაიმმა ძალოვანი ფორვარდი ველკი გაცვალა პიტსბურგის ვეტერან დენიოზე, რომელიც ჯერჯერობით ამართლებს იმედს.

საუცხოოდ თამაშობს ლოს ანჯელესი, რითაც ძლიერ ახარებს მფლობელებს და ერთგულ გულშემატკივრებს. უკვე მეხუთე მატჩია, „მეფეები" გამარჯვებულები სტოვებენ ყინულს, თან მხოლოდ 5 შაიბა გაუშვეს, რაც გოლკიპერ ფისეს უდაო დამსახურებაა. განსაკუთრებით ვანკუვერი დაიჯაბნა — ლოს ანჯელესმა ორ შეხვედრაში 7 უპასუხო შაიბა შეუგდო მეტოქეს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ვანკუვერი გაცილებით უფრო ხშირად უტევდა. ბოლო ხანს ლოს ანჯელესს ტრავმები არ აძლევს საშველს — კლუბის მთავარი ცენტრი პერო სეზონის ბოლომდე გამოაკლდება თავისიანებს. ვანკუვერთან კი გამოჯანმრთელებულმა ფერარომ (20) და სმიტმა იმარჯვეს. ახლა ამ ორ კლუბს ორი ქულაღა აშორებს ერთმანეთისგან (თუმცა, ვანკუვერს ორი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული) და გამორიცხული არ არის, „მეფეებმა" კონკურენცია გაუწიონ ფლეი-ოფში გამსვლელებს.

დასასრულ, ორიოდე ინფორმაცია გუნდების შესახებ. ოტავას მესვეურებმა განაცხადეს კლუბის სავარაუდო გადასვლის შესახებ ამერიკის რომელიმე ქალაქში. ასე რომ, ლიგას კიდევ ერთი ამერიკული კლუბი დაემატება და კანადელთაგან მხოლოდ მონრეალი, ტორონტო, ვანკუვერი, ედმონტონი და კალგარი დარჩებიან.

ლიგის ხელმძღვანელობის ვარაუდით, 2000 წლისთვის ნჰლ კიდევ ოთხ ახალ კლუბს შეიმატებს: 1998-99 წლების სეზონში — ორს, შემდეგ კიდევ ორს. ცხადია, ლიგაში შესასვლელი თანხის სიდიდის გამო (75 მილიონი ამერიკული დოლარი) ეს მხოლოდ აშშ-ს ქალაქებს ხელეწიფებათ. და აი, ამ დღეებში ცნობილი გახდა იმ კანდიდატთა ვინაობა, რომელთაგან ამოირჩევენ ოთხ იღბლიანს. ეს ქალაქები ჰიუსტონი, ნეშვილი, ოკლაჰომა, კოლუმბუსი, ატლანტა და მინეაპოლისი არიან. საინტერესოა, რომ ატლანტასა და მინეაპოლისში ადრეც იყო ნჰლ-ის კლუბები (ახლანდელი კალგარი და დალასი).

და ბოლოს: ტამპელმა სისარელიმ 576 შაიბით ნჰლ-ის ყველა დროის სნაიპერთა სიაში მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა.

**სამველ ღარიბიანი**


# ბავშვთა კვება



# Gerber

## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

### ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

Gerber კომპანია გერბერის პროდუქციაში არ გამოიყენება არანაირი ქიმიური კონსერვანტი

Gerber 1928 წლიდან მოყოლებული კომპანია გერბერმა დაამზადა 60 მილიარდამდე საკვები პროდუქტის შესაფუთი და არ ყოფილა პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების არცერთი შემთხვევა. შესაბამისად — პროდუქტის თერმოგადამუშავებასთან დაკავშირებული მოწამვლის არცერთი ფაქტი.

Gerber ამერიკის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის დროზე „გერბერის ჩვილი" იყო.

ფირმა გერბერი 1928 წლიდან უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა უმრავლესობისა და მილიონობით პატარის კვებას მთელ მსოფლიოში.

☎ 39-47-83

# „ყოჩები“ წელსაც იყოჩებენ

შარშანდელ სარაგბო სეზონში თბილისის „გუმარმა“ დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და ეს არც არავის გაჰკვირვებია, რადგან „გუმარი“ ქვეყნის ნაკრების საბაზო გუნდია, ქართული სარაგბო სამყაროს აღიარებით, ყველაზე ძლიერი და გამოცდილი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. ჩემპიონატის ერთგვარი მოულოდნელობა ის იყო, რომ თბილისისავე „ყოჩებმა“ ოქროს მედლები მხოლოდ ბოლოსწინა ტურში დაუთმეს „გუმარს“, პირველ წრეში კი ერთპიროვნულად ლიდერობდნენ. ჯაბანი და გამოუცდელი მორაგბეები არც „ყოჩებს“ ჰყავდათ, მაგრამ ვარსკვლავთა გუნდსაც მწვრთნელი უნდა და წარმატებასა და უშედეგობას მეტწილად მწვრთნელი განაპირობებს. ამიტომაც, „ყოჩების“ ვიცე-ჩემპიონობაში ლომის წილი მის მწვრთნელს ლაშა გეგენავას უდევს. ასევე, გუნდის გაჩემპიონებასაც სწორედ ბატონმა ლაშამ შეუშალა ხელი და, სხვებისგან განსხვავებით, ამას არც მალავს.

— ბატონო ლაშა, შარშანდელი სეზონი „ყოჩებმა“ მოულოდნელად ლიდერად დაიწყო. მოულოდნელი გულშემატკივართათვისა და რაგბის ქართველი სპეციალისტებისთვის იყო. თქვენ თუ ელოდით ასეთ წარმატებულ სტარტს?

— საპრიზო სამეულში მოხვედრა ჩემპიონატის დაწყებამდე განზრახული გვქონდა და არ გამოვრიცხავდით „ყოჩების“ ჩემპიონობასაც, მაგრამ თავიდან ნაკლებად ვიყავით თავდაჯერებულნი. ყველაფერი „ყოჩების“ ქუთაისში სტუმრობისას გადაწყდა. ქუთაისის „აიას“ უკვე 4 წელი იყო შინ თამაში არ წაეგო, მანამდეც მხოლოდ სამჯერ დამარცხდა საკუთარ მოედანზე — ერთხელ თბილისის „ვესტასთან“ და მანამდე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისას რუსეთის ორ გუნდთან. თანაც, „აია“ 1995 წლის საქართველოს ჩემპიონი იყო. ჩვენმა ბიჭებმა თავი გაიგიჟეს, შესაშური რაგბი ითამაშეს და „აიას“ დამაჯერებლად სძლიეს. ეს უდიდესი სტიმული იყო მორაგბეთათვის და ჩვენთვის მწვრთნელთათვისაც და დავრწმუნდით, რომ ჩემპიონობისთვის ღირსეული ბრძოლა ძალგვიძდა. იმავე პერიოდში ჩვენმა სპონსორებმაც იყოჩაღეს, ფული ჰქონდათ და გუნდს არაფერს არ აკლებდნენ. ხელფასებს, პრემიებს დროულად იღებდნენ ბიჭები, ეგ კი არა, სარაგბო ინვენტარი საფრანგეთიდან ჩამოგვიტანეს. საჩემპიონო განწყობისთვის ყველა პირობა გვქონდა და ბიჭებიც იგებდნენ და იგებდნენ. პირველი წრე ლიდერებად დავასრულეთ.

— მაგრამ მეორე წრიდან აღმაფრენა და წარმატებები სადღაც გაქრა და ბევრი ამას ლაშა გეგენავას აბრალებს. რატომ?

— დაწვრილებით გიამბობთ რაც მოხდა, არც ჩემს შეცდომას დავმალავ, არც სხვისას. „ყოჩები“, მოგეხსენებათ, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდია, ამიტომ საქართველოს სტუდენტურ ნაკრებში ჩვენი გუნდის 10 მოთამაშეა. შარშან, ზაფხულში, სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკაში იმართებოდა და იქ საქართველოს ნაკრებსაც უნდა ეთამაშა. ჩვენი ბიჭებიც მოუთმენლად ელოდნენ იქ წასვლას და გამალებით ემზადებოდნენ. სამხრეთ აფრიკა რაგბის მექაა და იქ თამაში ჩვენთვის ცოტა იმაზე მეტს ნიშნავს, ვთქვათ, ფეხბურთელმა ბრაზილიაში, „მარაკანაზე“ რომ ითამაშოს. მაგრამ რაგბის კავშირმა ვერ იშოვნა 60 000 დოლარი სამხრეთ აფრიკაში გასამგზავრებლად. მეორე წრის პირველ შეხვედრაში თბილისის „ქორებს“ ვხვდებოდით. თამაშამდე გავიგე, რომ ფული არ იყო, ჩემპიონატზე ვერ მივდიოდით. ვერ მოვითმინე, გასახდელში ჩავედი და ბიჭებს ეს ამბავი ვუთხარი. ყველას საშინლად ეწყინა, ყველანი თავჩაქინდრულნი გავიდნენ სათამაშოდ და წააგეს. იმედის გაცრუებით გაფუჭებული განწყობა კაი ხანს გაყვათ და ამან ჩვენს თამაშზე, შესაბამისად, სატურნირო ცხრილზეც იმოქმედა. მე რომ თავი შემეკავებინა და ბიჭებისთვის დამემალა სამხრეთ აფრიკაში წაუსვლელობის ამბავი, „ქორებთან“ უთუოდ მოვიგებდით, შემდეგ კი კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. დიდი შეცდომა დავუშვი და ეს ალბათ ჩემი გამოუცდელობის ბრალია. ამგვარად არ შეცდებოდნენ ჩვენი გამოცდილი მწვრთნელები გურამ მოდებაძე, დუგლას კავთელაშვილი, რამაზ სანებლიძე და თემურ ბენდიაშვილი.

— მაგრამ მატჩის შემდეგ ხომ მაინც გაიგებდნენ ბიჭები მაგ ამბავს?

— ის ორი ქულა ჰაერივით რომ გვჭირდებოდა, ეს ჩემპიონატის მიწურულს გამოჩნდა. გაგებით კი გაიგებდნენ, მაგრამ, ჯობდა, შეგვემზადებინა და ისე გვეცნო მათთვის ეს ამბავი. ამიტომაც, აუცილებელია გუნდში ფსიქოლოგი, რომ ასეთმა ამბავმა გუნდის თამაშზე არ იმოქმედოს. იმავე დროს მეორე უსიამოვნებაც გვეწვია — ჩვენს სპონსორებს ფული გამოლეოდათ და ძველებურად ველარ გვეხმარებოდნენ. ეს ყველაფერი „გუმარი“ — „ყოჩების“ გადამწყვეტ მატჩში ჩვენი მარცხის მიზეზი გახდა.



ლაშა გეგენავა

— ვინ იყვნენ თქვენი სპონსორები?

— რამდენიმე სპონსორი გვყავდა, მაგრამ გაკოტრდნენ, ხოლო ძირითადი დამფინანსებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყოჩები“. სწორედ მათ დააფუძნეს სარაგბო კლუბი ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად. შ.პ.ს. „ყოჩების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კი ჩემი ტყუპისცალია — გუგა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „ყოჩების“ პრეზიდენტის თემურ გაფრინდაშვილის უდიდესი წვლილი — ამ კაცმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენს მორაგბეებს ნორმალურ პირობებში ევარჯიშათ, საამისოდ არაფერს გვაკლებდა და შემიძლია ვთქვა, სული და გული ჩადო ამ საქმეში. ეს კაცი რომ არ გვყოლოდა, ალბათ, რასაც მივაღწიეთ, იმის ნახევარიც სანატრელი გაგვიხდებოდა. მხარში გვიდგანან ყოფილი მორაგბეები — პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი კობახიძე, დეპუტატები მამუკა გიორგაძე და მამუკა არეშიძე. გარდა მორალური მხარდაჭერისა, ეს ხალხი გვეხმარება სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში და ამასთან „ყოჩების“ ერთ-ერთი დამფუძნებლები არიან.

— თუ დასამალი არ არის, რა თანხას უხდიდით მოთამაშეებს?

— ხელფასი ყველას 60-60 ლარი ჰქონდა, „ქორებთან“ „გუმართან“ და „აიასთან“ მოგებაზე პრემია 100-100 ლარი, სხვა გუნდებთან გამარჯვებაზე კი — 60-60.

— სპორტის სხვა სახეობის მიმდევრებს თითო მოგებაზე კი არა, თითო ვარჯიშში რომ მისცე 20 ლარი, ალბათ, არც კი ივარჯიშებენ. არ ეცოტავებოდათ საჩემპიონოდ მებრძოლ ბიჭებს ასეთი მცირე ხელფას-პრემიები?

— რაგბი ჯერ არ არის პროფესიონალური, გუნდის წევრებს შემოსავლის სხვა წყაროც აქვთ, ამიტომ ამ თანხაზეც ყველა ყაბულს იყო. ეგეც არ იყოს, თუ ოვალურ ბურთს ერთხელ ხელი შეავლე, ქრონიკული სენით ავადდები. ამას რაგბის სიყვარული ჰქვია და სულ არაფერი რომ არ გიხადონ, მაინც ჯიგრიან რაგბს თამაშობ.

— სხვა გუნდებს თუ აქვთ ხეირიანი დაფინანსება?

— შარშან, პირველ წრეში, ვფიქრობ, მატერიალურად ყველაზე უკეთ უზრუნველყოფილნი ჩვენ ვიყავით. მხოლოდ „გუმარს“ ჰქონდა ერთი დიდი უპირატესობა — თხუთმეტი გუმარელი ნაკრების წევრია. შარშან ნაკრებმა 10 საერთაშორისო შეხვედრა გამართა და გუმარელებმაც ათივე მატჩში ითამაშეს. სამი სრულფასოვანი შეკრებაც გაიარეს ნაკრებთან ერთად და ამან დიდად შეუწყო ხელი მათი სპორტული ფორმის შენარჩუნებასა და დაოსტატებას.

— ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი თუ გეხმარებათ?

— თითსაც არ ანძრევენ საჩვენოდ. ამ დღეებში ვაპირებ უნივერსიტეტის რექტორთან შეხვედრას. ბოლოსდაბოლოს, ხეირიანი მხოლოდ ხელბურთისა და რაგბის გუნდები ჰყავთ და მათთვის მეტი ყურადღების გამოჩენა მართებთ.

— ადრე „გეპეის“ გუნდად ცნობილი თქვენი კლუბი ლამის „ლოკომოტივის“ ფარმკლუბად ითვლებოდა. კვლავ გრძელდება მოთამაშეთა გადაბირება და მასიური მიგრაცია სხვა გუნდებში?

— ჯერჯერობით ეს პროცესი შეჩერებულია. შარშან აქეთ დავიმატეთ მოთამაშეები. „ლელოდან“ რატი ურუშაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ალეკო ენუქიძე და შოთა ლაზაშვილი, „გუმარიდან“ დაგვიბრუნდნენ ზაზა ლეჟავა, მალხაზ ჭეიშვილი, ბაკურ ფირიაშვილი, ირაკლი ჩიქავა და ალიოშა ჩიქოვანი, თუმცა ჩიქოვანმა წელს დაგვტოვა — „ქორებში“ გადავიდა, შარშან კი ამ გუნდიდან სპირიდონ ლიპარტელიანი მოვიწვიეთ. სხვათა შორის, ბაკურ ფირიაშვილი თან თამაშობს, თან ჩვენი სპონსორიცაა — რასაც შოულობს, ნახევარი ოჯახში მიაქვს, ნახევარი ჩვენთან, გუნდში.

— უფულობა ხომ არ განაახლებს მიგრაციის პროცესს?

— არის ამის საშიშროებაც, თუ სხვა გუნდებმა საუკეთესო პირობები შესთავაზეს ყოჩელებს, თუმცა, ჯერჯერობით, რამდენადაც ვიცი, სოლიდური თანხა მხოლოდ რუსთავის „აზოტს“ შეიძლება ჰქონდეს, ისიც სამომავლოდ.

— კიდევ გყავთ ბავშვთა გუნდები?

— 160 ბავშვი ვარჯიშობს „ყოჩებში“, ყველა ასაკში გვყავს გუნდი, პროფესიონალი ბავშვთა მწვრთნელები არ გვაკლია. კი ჭირს „ყოჩების“ შენახვა, მაგრამ დიდი გუნდის წევრთა 90 პროცენტი ყოფილი ყოჩელია და ამიტომაც, მომავალსაც იმედიანად ვუცქერით.

— ბატონო ლაშა, ამბობენ, „ყოჩებში“ ყოჩები თამაშობენო. გთხოვთ, როგორც იტყვიან, გუნდის ხერხემალზე ვისაუბროთ.

რატი ურუშაძით დავიწყებ. ნიჭიერი ბიჭია და ახლახან ახალ ზელანდიაში მიიწვიეს, შეამოწმებენ და შესაძლოა დარჩეს — იქაურ კლუბში ითამაშოს. პირველხაზელი ირაკლი ჩიქოვანი უბადლო მორაგბეა, ისევე როგორც ირაკლი გიორხელიძე და მამუკა ტყეშელაშვილი, ბესო ტეფნაძე კი ბოლო ორი წლის საქართველოს საუკეთესო ბომბარდირია. აღვნიშნავ სანდრო საკანდელიძეს და ალეკო ენუქიძეს. ეს უკანასკნელი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მორაგბეა. ნიკო ჭავჭავაძემ და სპირიდონ ლიპარტელიანმა სული ჩადეს ყოჩების გამარჯვებაში. და ბოლოს, ზაზა ლეჟავა, რომელიც ცალკე საუბრის თემა უფროა — ზაზა გუნდის სული და გულია. ეს ის ხალხია, რომელნიც ღირსეულად იყოლიებენ ახალგაზრდებს და მათთან ერთად სჭედენ ყოჩელთა გამარჯვებებს.

— სადაც საქართველოს გაუჭირდა, მორაგბენი იქ იყვნენ, ოღონდ, ოვალურ ბურთს დროებით ავტომატი ანაცვალეს. ალბათ, ამიტომაც არის, შორს არ წავალ და, თბილისში თუ ვინმე სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დაღუპული სპორტსმენების სადღეგრძელოს სვამს, მორაგბეებით იწყებს.

— მე ერთი ვიცი — ქართველ მორაგბეთა ოთხმოცი პროცენტი ნაომარია, ზოგი დაიღუპა, ზოგი დასახიჩრდა და დაინვალიდდა. ერთ კონკრეტულ ფაქტს მოგიყვანთ მაგალითად და, ვფიქრობ, ამით ვიტყვი სათქმელს: აფხაზეთის ომში ერთ ბატალიონში იყვნენ მორაგბეები — ზაზა ლეჟავა, გოჩა მაჭავარიანი, თორნიკე გეგიძე, მალხაზ ჭეიშვილი, მალხაზ ნაცვლიშვილი, გიზო მონიავა და ირაკლი გვენეტაძე. მათთან ერთად კიდევ 8 კაცი იყო ჩოლოყაშვილის სახელობის ბატალიონიდან. ამ თხუთმეტმა კაცმა ფრონტის ხაზი გაარღვია და მთელი ბატალიონი რომ ვერ შესძლებდა, ის გააკეთა — 3 საათში ფრონტის ხაზი გაარღვიეს, გუმისთა გადალახეს და ეშერის სკოლა აიღეს მიუხედავად იმისა, რომ მოიერიშე ნაწილებმა უკან დაიხიეს და ეს თხუთმეტი თავგამეტებული ქართველი შერჩა მტერს პირისპირ. ერთი დღელამე ბიჭები ალყაში იყვნენ და ძლივს გამოიყვანეს სკოლის შენობიდან. ადრე ასეთ ხალხს გმირებად აღიარებდნენ. ზაზა ლეჟავა ისე დასახიჩრდა, ვერ იცნობდით — სხეულზე უვნებელი ადგილი არ ჰქონდა, ხოლო გოჩა მაჭავარიანმა თითქმის სრულად დაკარგა ცალი თვალის ჩინი.



— თქვენი შეგირდები იბრძოდნენ, თქვენ სახლში იჯექით და ელოდით, როდის დაგიბრუნდებოდნენ ნაომარი ბიჭები?

— მე და ჩემ ძმას გუგას ომის მეტი რა გვინახავს, მაგრამ ყვირილს ხომ არ დავიწყებთ, არიქა, ნახეთ, რა მეომრები ვართო. მხედრიონში იყო ასეთი ბატალიონი — „დეკა“. იქ ვიბრძოდით. ვინც აფხაზეთში წავედით „დეკადან“, არც ერთი მეომარი არ ვიყავით ნაომარი თბილისის ომში. რომ იტყვიან, სუფთა ხალხი წავედით ომში.

— დღეს მხედრიონთან კავშირს ბევრი მალავს. არ გეშინიათ გულახდილობის?

— რატომ უნდა მეშინოდეს? არ მიყაჩაღია, არ მომიპარავს და მტრის გარდა არავინ შემიწუხებია. მარტო ის ფაქტი, რომ „დეკა“ აფხაზეთის ომის წინ შეიქმნა და არცერთ ჩვენთაგანს თანამოძმისთვის ტყვია არ ჰქონდა ნასროლი, ვფიქრობ, ბევრზე მეტყველებს. ერთ ამბავს გიამბობთ და თავად განსაჯეთ: ოჩამჩირეში, სოფელ ოხურეიში აფხაზი აგრონომის უპატრონოდ მიტოვებულ სახლში ვცხოვრობდით 30 კაცი. ყველა „დეკადან“ ვიყავით. რომ იტყვიან, კაი მაცხოვრებელი იყო ეს აფხაზი აგრონომი. ორი კვირის მანძილზე ხელუხლებლად შევინახეთ ანტიკვარებითა და სხვადასხვა ძვირფასეულობით გამოტენილი ეს სახლი, წამოსვლისას კი მხოლოდ მე წამოვიღე ერთი წიგნი — აგათა კრისტის დეტექტივი. კითხვა დაწყებული მქონდა, დამაინტერესა და ველარ დავთმე. სახლის პატრონი, თუკი დაბრუნდებოდა, საწერ მაგიდაზე ნახავდა ბარათს: „დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ თქვენი ბიბლიოთეკიდან ერთი წიგნი წავიღე, თუ ღმერთმა მშვიდობით შეგვახვედრა, ჩემზე იყოს. ლაშა გეგენავა“. თუნდაც ამის გამო არ მრცხვენია და არც მეშინია, რომ „მხედრიონთან“ ერთად ვიბრძოდი.

— მოდით, ისევ რაგბს დავუბრუნდეთ. წელს რა გეგმები აქვს „ყოჩებს“?

— მატერიალური სიდუხჭირის მიუხედავად, კვლავაც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. გუნდი ორმა მოთამაშემ დატოვა — რატი ურუშაძემ და ალიოშა ჩიქოვანმა, რომელიც „ქორებში“ გადავიდა. დიდი დანაკლისი იყო ჩვენთვის ფიზიკური მომზადების მწვრთნელის ლექსო ბურნაძის წასვლაც, რომელმაც „ყოჩების“ შარშანდელ წარმატებაში ლომის წილი დაიდო. ახლა ბიჭებმა ვარჯიში დაიწყეს, პირველი საწვრთნელი შეხვედრაც გავმართეთ ახალგაზრდულ ნაკრებთან და მოვიგეთ. ბიჭები კვლავ ოქროს მედლებზე ფიქრობენ და სხვა არაფერზე. თუ ჩვენი სპონსორებიც წელში გაიმართებიან და ფინანსურად შეგვეხიდებიან, მაშინ წინ ვერავინ დაგვიდგება.

საუბარს ვამთავრებდით, როცა ლაშას ტყუპისცალი ძმა — გუგა შემოგვიერთდა. გუგა გეგენავა ის კაცია, რომელიც „ქრონიკული რაგბითაა“ დაავადებული და განკურნებას არც ცდილობს, პირიქით, თავისი ქცევითა და საქმიანობით ცდილობს სხვებსაც გადასდოს ეს „უკურნებელი სენი“ — ფულიანი და გავლენიანი ხალხი მოიზიდოს რაგბში, რათა ქართულ რაგბს ღონიერი პატრონი გამოუჩნდეს. თავად კი ორი ოჯახი ჰყავს შესანახი — საკუთარი ცოლ-შვილი და მრავალრიცხოვანი „ყოჩები“. უპირველესად, სწორედ გუგას და მისი მეგობრების წყალობითაა, რომ „ყოჩებმა“ შარშან ლაზათიანი რაგბი ითამაშეს. ლაშა გეგენავაც მომავალს იმედით უცქერის.

ლევან ჯავახიშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტოები

შაბათს გაიმართა ხუთი ერის პირველობის მეოთხე ტურის მატჩები:
ინგლისი — საფრანგეთი 20:23
შოტლანდია — ირლანდია 38:10

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29